619
1968

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 2 თებერვალი 1968



50

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 2 (375) თებერვალი, 1968 წ.

გამოცემის წელი 46-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ პოლიტი-
კური და სალიტერატურო-სამხატვრო
ჟურნალი

# მოდიან ჯარისკაცები..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა არმია დიდი ოქტომბრის სახელოვანი და სასიქადულო პირმშოა. ახალი, რევოლუციური ეპოქის ქარცეცხლში დაიბადა იგი, მუდამ მზადმყოფი ადამიანთა სანუკვარი ოცნების — თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად; დაიბადა ორმოცდაათი წლის წინ, და ამ ხნის მანძილზე სამარადისო დიდების შარავანდედით შემოსა თავისი საბრძოლო დროშები. სამოქალაქო ომის ფრონტები, ხასანისა და ხალხინ-გოლის ბრძოლები, და ბოლოს, დიდი სამამულო ომის მანამდე არნახული ეპოპეა, როცა საბჭოთა არმიამ იხსნა მთელი კაცობრიობის მომავალი; მოსკოვის, კავკასიის, სტალინგრადისა და კურსკის ბრძოლები, განმათავისუფლებელი მარში ევროპაში და ბერლინის თავზე აფრიალებული გამარჯვების დროშა — აი მოკლედ ჩამოთვლილი ყველაზე მთავარი ეტაპები იმ უბადლო, დიდებით მოსილი გზისა, რომელიც ჩვენმა ძლევამოსილმა შეიარაღებულმა ძალებმა განვლეს 1918 წლიდან 1968 წლამდე.

დღეს საბჭოთა არმია მთელს მსოფლიოში მშვიდობის უძლეველი ბურჯია. იგი საიმედოდ იცავს ჩვენი ხალხის თავდადებულ შრომას, ოქტომბრის დიდ მონაპოვარს.

ჩვენ ვესტუმრეთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებს და მივულოცეთ მათ ეს დიადი დღესასწაული.

მივულოცოთ ჩვენს მამაც მეომრებს დიადი დღესასწაული და ვუსურვოთ ახალ-ახალი წარმატებანი ჩვენი სამშობლოს და მთელი მოწინავე კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

10.706

საბჭოთა არმია აღჭურვილია უბრწყინვალესი ტექნიკით: აი, ჩვენი სახელოვანი მერაკეტეები, ისინი გულმოდგინედ უვლიან თავიანთ იარაღს (ფოტო მარცხნივ).

ესენი კი სამთო-მსროლელი ნაწილის მეომრები არიან (ფოტო მარჯვნივ). წინათ ამბობდნენ, სადაც ირემი გაივლის, იქ ჯარისკაციც გავაო. ესენი კი, როგორც ხედავთ, გადიან ისეთ ციცაბოებზე, სადაც ვერავითარი სულიერი ვერ გაივლის.





ეს მხედრები, მოძმე ხალხთა შვილები, მუდამ მტკიცედ უდგანან მხარში ერთი-მეორეს.



ეს ყველაზე ამაღელვებელი წუთია ჯარისკაცის ცხოვრებაში — მეომრები საზეიმოდ დებენ ფიცს სამშობლოს წინაშე.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



ასე მიდიან დღეები შრომასა და მეცადინეობაში. დასვენების წუთებში კი რა სჯობია მხიარულ გარმონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ვ. აბულაძისა.



აქ კი საველე მეცადინეობის ეპიზოდებია — საბრძოლო განგაშის წუთები.

შეხვედრა სანახავად მოსულ ნაცნობ ქალიშვილთან.





# რა გული ჰქონდა, რა ცეცხლი...

**ქ. სოხაძე,**
392-ე ქართული მსროლელი დივიზიის უფროსი კომისარი, თადარიგის პოლკოვნიკი.

1942 წლის აგვისტოს მცხუნვარე დღე იყო, როცა საქართველოს გულიდან ფრონტისაკენ დაიძრა 392-ე ქართული მსროლელი დივიზია, რომელსაც გენერალ-მაიორი ისიდორე სილაგაძე მეთაურობდა. სწორედ ამ დივიზიაში იყვნენ პოლიტხელი ვლადიმერ ლურსმანაშვილი, უფროსი ლეიტენანტი ალექსი პირმისაშვილი, შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირები რომ გახდნენ, აქ იყო კაპიტანი ბუხაიძე, შემდეგ ლეგენდად რომ იქცა მისი სახელი. ერთიმეორეს მისდევდნენ ეშელონები. რამდენიმე დღის შემდეგ კი დივიზია ელხოტოვო-არდონის რაიონში თავდაცვის ზღუდეებს ქმნიდა.

ელხოტოვო-არდონის სახელი ჯერ არ გამოჩენილიყო საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში; სამაგიეროდ, ამ დღეებში საბჭოთა ადამიანებმა უკვე იცოდნენ მოზდოკის რაიონში გამართული გააფთრებული ბრძოლების შესახებ. ელხოტოვო-არდონი მოზდოკიდან არც თუ ისე შორს იყო. აქ, ამ უბანზე უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ქართველთა ლაშქარი და ფაშისტთა ურდოები. სალი კლდესავით აღიმართნენ ქართველი მეომრები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ გამოწრთობილი მეთაურები და პოლიტმუშაკები: პ. კაციტაძე, გ. გეთია, ი. გვირგვილიანი, ა. ბერაძე, გ. ნადირაძე, ქ. ჩირაძე, შ. ვასაძე, ა. ნანეიშვილი, მ. მექვაბიშვილი, მ. ბალავაძე, ქ. გვალია, მ. გვასალია და სხვები.

ელხოტოვო-არდონის რაიონში დაბანაკება წამიერი შესვენება იყო დიდი ბრძოლების წინ.

1942 წლის 21 აგვისტო. ჩვენი ფრონტის სარდლობამ მიიღო ბრძანება: თავდაცვის ზღუდიდან მყისვე გავიდეთ წინ და გზა გადავუღობოთ ჰიტლერელებს. ეს იყო ქართული დივიზიის პირველი საბრძოლო მარში ძლიერი და მუხანათი მტრის წინააღმდეგ. უპირატესობა მტრის მხარეზე იყო: მას ჰქონდა ჭარბი საავიაციო და სატანკო ტექნიკა, ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდნენ გერმანელთა პირველი სატანკო არმიის შენაერთები, გაძლიერებულნი მთა-გორიან ადგილებში მოქმედებისათვის გამოწრთობილი სპეციალური მოტომსროლელი ნაწილებითა და რუმინელთა სამთო მსროლელი დივიზიით.

მარშის მეხუთე დღეს ქართველთა ლაშქარი პირისპირ ეკვეთა მტერს ნოვოივანოვსკის უბანზე, უკუაგდო იგი და იმავე დღეს, 26 აგვისტოს, დღის მიწურულში საბჭოთა დროშები კვლავ აფრიალდნენ პრიშიბსკაიაში, კოტლიარევსკაიაში, მაისკოეში, ვლადიმირსკში, კრასნაია პოლიანაში, პრავოურვანსკში, სლავიანსკში და სხვ.

ეს იყო 392-ე ქართული დივიზიის პირველი საბრძოლო ნათლობაც და პირველი სანუკვარი გამარჯვებაც ძლიერ და მუხანათ მოწინააღმდეგეზე.

ქართული მსროლელი დივიზიის ამ პირველ ბრწყინვალე ლაშქრობას მაღალი შეფასება მისცა 37-ე არმიის სამხედრო საბჭომ, რომლის 1942 წლის 26 აგვისტოს დეპეშაში ნათქვამი იყო: „სამხედრო საბჭო გილოცავთ თქვენს პირველ გამარჯვებას — პრავოურვანსკის, სოვეტსკაიას, კრასნაია პოლიანას, ვლადიმირსკისა და სხვათა აღებას. სამხედრო საბჭო დარწმუნებულია, რომ ეს გამარჯვება დასაწყისია კაცობრიობის მოსისხლე მტრის — ჰიტლერიზმის წინააღმდეგ თქვენი გადამწყვეტი მოქმედებისა.

გისურვებთ წარმატებებს შემდგომ ბრძოლებში გერმანელ დამპყრობთა სრული განადგურებისათვის.

წინადადებას ვიძლევით, ბრძოლაში გამოჩენილი მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები წარმოადგინოთ მთავრობის ჯილდოზე“.

პირველმა გამარჯვებამ თავბრუ როდი დაახვია ქართველ მეომრებს; ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ გამარჯვების შენარჩუნება და, მით უმეტეს, განვითარება უფრო ძნელია, ვინემ მისი მოპოვება. ამიტომ გაორკეცებული ენერგიით, კიდევ მეტი პასუხისმგებლობით, მტრის ჭარბი ძალების რეალური შეფასების გათვალისწინებით შევუდექით შემდგომი სამხედრო ოპერაციებისათვის მზადებას. საბჭოური სამხედრო ხელოვნების უპირატესობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი დივიზიის შეტევა გრძელდებოდა. შემდგომი სამი დღის განმავლობაში სამშობლოს დავუბრუნეთ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტები. 7 სექტემბერს კი დივიზიის ნაწილები გავიდნენ მდინარე ბაქსანის ნაპირზე.

მოპოვებულმა გამარჯვებამ აღაფრთოვანა ყველა. დივიზიაში მიღებულ იქნა ამიერკავკასიის ფრონტის ჩრდილოეთის ჯგუფის ჯარების სამხედრო საბჭოს ბრძანება, რომელშიც ნათქვამი იყო: „... ამ ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი 392-ე დივიზიამ, რომელმაც სასტიკ ბრძოლაში მოწინააღმდეგისაგან გაათავისუფლა შემდეგი დასახლებული პუნქტები: ძუგაევი, ცხენაშენი, ნოვოივანოვსკი, ბაქსანსკი, მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა, ნოვოკურსკი, ტოუკანდორეში, ხაფსიხა, კრასნოე გედუკო და სხვა. ბრძოლების მსვლელობაში გერმანელთა 23-ე სატანკო დივიზიას დიდი ზარალი მოუვიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ჯარების მართვის უნარიანი ორგანიზაციისა და დივიზიის პირადი შემადგენლობის მიერ გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის მადლობას ვუცხადებ დივიზიის მთელ პირად შემადგენლობას. დივიზიის მებრძოლები, მეთაურები და პოლიტმუშაკები, რომელთაც თავი გამოიჩინეს ბრძოლაში, წარმოდგენილი იქნან მთავრობის ჯილდოზე“.

ჩვენი დივიზიის წინაშე ახალი ამოცანა წამოიჭრა: არ მოგვესვენებინა მდინარე ბაქსანის გაღმა გარეკილი მტერი, საშუალება არ მიგვეცა მისთვის გამაგრებულიყო მდინარის მეორე ნაპირზე. ამისათვის საჭირო იყო მდინარის გადალახვა და მტერთან ხელახლა შერკინება. სარდლობამ გვიბრძანა სწრაფად გაგვეჩქარებინა შეტევა, მტრისათვის მოგვესპო მდინარის მოპირისპირე ნაწილზე თავდაცვითი ზღუდეების მოწყობის საშუალება. მესანგრეები შეუდგნენ გადასასვლელის მოწყობასა და ნავების წყალში ჩაშვებას. ამას ისინი ღამღამობით აკეთებდნენ, რომ მტერს არ შევენიშნეთ. მოიერიშე ნაწილებისათვის კი ხანმოკლე შესვენების დრო დადგა; სწორედ დროის ამ მონაკვეთში განსაკუთრებით აქტიურად ამოქმედდნენ პოლიტმუშაკები; სადაც კი გამოჩნდებოდნენ ისინი, მათ მყისვე გარსშემოეხვეოდნენ ხოლმე ჯარისკაცები; ისინი ამზადებდნენ ჩვენს მეომრებს კიდევ უფრო მრისხანე ბრძოლებისათვის. ამ პოლიტმუშაკთა შორის ერთ-ერთი პირველთაგანი იყო ვლადიმერ კანკავა; მას არ უყვარდა ლიტონი სიტყვა. ენერგიული და დინჯი ვაჟკაცი მუდამ პოულობდა გამოსავალს, რაც არ უნდა მძიმე მდგომარეობა შექმნილიყო. პოლიტხელი პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მეომრებს. როცა მესანგრეები შეუდგნენ მდინარის გადალახვისათვის მზადებას, კანკავამ ქვეგანაყოფში ყველას განუმარტა, თუ ვის სად და რა უნდა გაეკეთებია; ამასთან, თვითონვე შველოდა იმათ, ვისაც საქმის შესრულება უძნელდებოდა.

მდინარეზე გადასასვლელების მოწყობა მთელ ღამეს გრძელდებოდა. ღამის წყვდიადში გაუჩინარებულნი, დაუღალავად მუშაობდნენ მესანგრეები. გარიჟრაჟზე გადასასვლელები მზად იყო, მდინარეში ჩაშვებული ნავებიც ნაპირთან ქანაობდნენ. მტერმა თითქოს გუმანით იგრძნო რაღაც და სროლა ატეხა. დესანტის მონაწილე ქვეგანაყოფის მეომრები უკანასკნელ განკარგულებებს იღებდნენ, და სწორედ ამ დროს მტრის ტყვიამ განგმირა მესანგრეთა ქვეგანაყოფის კომისარი, ადამიანი, ვის შემართებაზეც დიდად იყო დამოკიდებული დესანტის წარმატება გაღმა ნაპირზე.

წამით გაყუჩებულ მეომრებს გამოეყო ტანბრგე, შუბლმაღალი ქართველი ვაჟკაცი და მომმართა:

— ამხანაგო კომისარო! გთხოვთ მომანდოთ ამ საპასუხისმგებლო ოპერაციაში მსროლელი ქვეგანაყოფის კომისრის საპატიო მოვალეობა. სიტყვას გაძლევთ საქმით გავამართლო ეს დიდი ნდობა.

ჩვენს წინაშე იდგა 26 წლის ვაჟკაცი, პოლიტხელი ვლადიმერ კანკავა; რა მეთქმოდა, თანხმობის ნიშნად ხელი ჩამოვართვი, მივანდე ქვეგანაყოფის კომისრობა და გზა დავულოცე.

გარიჟრაჟზე, დათქმული ნიშნის მიცემისთანავე სადესანტო ქვეგანაყოფებმა სწრაფად გადალახეს მდინარე და ელვისებური დარტყმით გაარღვიეს მტრის დაცვის წინა ხაზი, შეიჭრნენ მის ზურგში და ბრძოლით აიღეს ორი დასახლებული პუნქტი. მაგრამ მალე მტერს მაშველი ძალები მოუვიდა და დაკარგული პოზიციებისაკენ წამოიწია. ბრძოლის ველზე დაირღვა წონასწორობა: მტერი ჭარბობდა რიცხობრივად და საბრძოლო ტექნიკით, მაგრამ ამან როდი გატეხა ჩვენი მეომრები. მათ მოაწყვეს ირგვლივი თავდაცვა, გაშმაგებულნი უტევდნენ და ქანცავდნენ მტერს, ორ დღე-ღამეს გასტანა ამ სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა, რომლებიც წამდაუწუმ ხელჩართულ შეტაკებაში გადადიოდა. დიდი ზარალი განიცადეს ჩვენმა სადესანტო ნაწილებმა, მაგრამ არავინ შემდრკალა, ხშირად ერთი საბჭოთა მეომარი ხუთს ეკვეთებოდა და ამ უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებულიც გამოდიოდა. ორი დღის მძაფრ ბრძოლებში ჩვენმა მედესანტეებმა მოსპეს 250-ზე მეტი ჰიტლერელი, 7 ტანკი და მრავალი სხვა საომარი ტექნიკა.

მდინარე ბაქსანის მეორე ნაპირზე გაჩაღებულ

# ისტორიკოსის თვალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის თემა მუდამ ამაღელვებელი და საინტერესო იქნება. ამ თემას ეძღვნება მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ს. საყვარელიძის წიგნი „საქართველოს მეცნიერი მედიკოსები დიდ სამამულო ომში", რომელიც „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა.

ავტორი ისტორიკოსის თვალით აფასებს მოვლენებს, ფაქტებს, ადამიანთა საქმეებს. მოვლენები და ფაქტები კი ამ წიგნში მეტად ბევრი და მრავალფეროვანია. მარტო იმის აღნიშვნაც კმარა, რომ წიგნში დაწვრილებით განხილულია დიდი სამამულო ომის სხვადასხვა ფრონტებზე და ზურგში მომუშავე 100-ზე მეტი საქართველოს მეცნიერ მედიკოსის დამსახურება, გაშუქებულია მათი მეცნიერულ-პრაქტიკული მოღვაწეობა ომის მძიმე წლებში.

მკითხველისათვის აქ ბევრი რამ ახალი და უცნობია. ს. საყვარელიძე სწორად მოქცეულა, რომ ომის მონაწილე მეცნიერ მედიკოსთა შესახებ მოკლე ნარკვევებში მთავარი ადგილი სამამულო ომის ეპოქისათვის დაუთმია, მაგრამ იგი არც ომამდელ და ომისშემდგომ პერიოდებს ტოვებს უყურადღებოდ; ამით იგი მკითხველს საშუალებას აძლევს შედარებით სრული წარმოდგენა მიიღოს ამა თუ იმ მეცნიერ მედიკოსის მოღვაწეობაზე, გაიგოს როგორ იზრდებოდნენ სამშობლოს მომავალი პატრიოტები და რა როლს ასრულებენ ისინი ამჟამად ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

წიგნში მიმოხილულია დიდი სამამულო ომის პერიოდში ჩვენს რესპუბლიკაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მიზნით განხორციელებული ღონისძიებანი. მთელი ამ საქმიანობის წმინდა და კეთილშობილური მიზანი იყო აღედგინათ ჯანმრთელობა სამამულო ომის ფრონტებზე დაჭრილი და ავადმყოფი მებრძოლებისათვის; ამ ამოცანის შესასრულებლად რესპუბლიკაში გახსნილი იყო საევაკუაციო ჰოსპიტლების ფართო ქსელი.

ავტორი დაწვრილებით განიხილავს საევაკუაციო ჰოსპიტლების მუშაობას, იქ მომუშავე მეცნიერ მედიკოსების პრაქტიკულ საექიმო და სამეცნიერო საქმიანობას.

იყენებდნენ რა მკურნალობის ახალ მეთოდებს, ბევრ შემთხვევაში საქართველოშივე შექმნილ პრეპარატებს, აქაურ ლაბორატორიებში დამზადებულ წამლეულსა და სხვა სამკურნალო საშუალებებს, ჩვენს განთქმულ კურორტებსა და სამკურნალო წყლებს, საქართველოს მეცნიერმა მედიკოსებმა მრავალი ათასობით გაჯანსაღებული მებრძოლი დაუბრუნეს ფრონტს, მათი ერთი ნაწილი კი ნაყოფიერ შრომაში ჩაება ისევ ფრონტის სასარგებლოდ.

ეს წიგნი არ არის უბრალო ბიოგრაფიული ხასიათის ნარკვევების კრებული, მასში მოცემულია მეცნიერული ანალიზი იმ დიდმნიშვნელოვანი ღვაწლისა, რომელიც დასდეს ჩვენმა მედიკოსებმა, საერთოდ ქართულმა საბჭოთა მედიცინამ ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვების საქმეს.

დასანანია, რომ ესოდენ საინტერესოდ დაწერილი წიგნი გამოვიდა მეტად მცირე ტირაჟით (1500) და ეს მაშინ, როდესაც საქართველოში 14 ათასზე მეტი მარტო ექიმია, ექიმის თანაშემწე კი — 30 ათასზე მეტია, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა დარგის სპეციალისტებზე, რომლებიც ინტერესით წაიკითხავენ მას.

წიგნი ილუსტრირებულია საინტერესო დოკუმენტების ფოტოპირებითა და მეცნიერ მედიკოსთა პორტრეტებით (რა თქმა უნდა, უმჯობესი იქნებოდა, ეს პორტრეტები ომის პერიოდის რომ ყოფილიყო).

ომში დაჭრილთა და ავადმყოფთა მკურნალობის მეტად რთულ საქმეში მარტო მეცნიერი მედიკოსების მოღვაწეობა ვერ მიაღწევდა მიზანს, თუ მათ მხარში არ ედგებოდათ ათასობით ექიმი და ექთანი, მთელი სამედიცინო პერსონალი. როგორც წიგნის შესავლიდან ჩანს, ავტორს განზრახული ჰქონია თავისი მეორე წიგნი ამ თემას მიუძღვნას.

ს. საყვარელიძის მონოგრაფია საქართველოს მეცნიერ მედიკოსების ღვაწლისა და დამსახურების შესახებ დიდ სამამულო ომში — პირველი ნაშრომია ამ თემაზე. იგი სათანადო ადგილს დაიჭერს საბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

სასურველია ამ წიგნის რუსულ ენაზე გამოქვეყნება, რადგან მასში წამოყენებული და გაანალიზებული დებულებები საინტერესო იქნება მთელი საბჭოთა კავშირის მკითხველებისათვის.

აკად. ა. ზურაბაშვილი
პროფ. გ. ხუნდაძე
თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე
ისტორიის მეცნიერ. დოქტორი მ. სიჩრაშვილი

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მეომრული თავდადებით იბრძოდა კომისარი ვლადიმერ კანკავა. იგი უმალ იქ გაჩნდებოდა, სადაც მტრის ჭარბი ძალები შეავიწროებდნენ ხოლმე ჩვენებს და ავტომატშემართული წინ უძღოდა მეომრებს.

უცებ მედესანტეთა პოზიციებისაკენ გამოემართნენ მტრის დასახმარებლად მოსული ტანკები. ჩვენს სანგრებს ყუმბარებისა და ნაღმების სეტყვა დააყარეს. კომისარი კანკავა ტანკსაწინააღმდეგო თოფთან მიიჭრა და პირდაპირი სროლით ადგილზევე ააფეთქა მტრის ტანკი, კანკავას ტანკსაწინააღმდეგო თოფმა მწყობრიდან გამოიყვანა მტრის მეორე ტანკიც. კომისრის გმირობამ ფრთები შეასხა მედესანტეებს, ისინი კვლავ ეკვეთნენ მტერს, მარჯვედ უტევდნენ და სპობდნენ მის ცოცხალ ძალებს, საომარ ტექნიკას. უთანასწორო ბრძოლა გრძელდებოდა, საბჭოთა მეომრები მკერდით იცავდნენ მოპოებულ პოზიციებს, სწორედ ამ დროს კანკავა გულგანგმირული დაეცა ბრძოლის ველზე. ეს იყო 1942 წლის 9 სექტემბერს.

...ჩვენმა დივიზიამ გადალახა ბაქსანი, გაანადგურა ჰიტლერელთა ჯარები.

მადლიერმა საბჭოთა ხალხმა, საბჭოთა მთავრობამ დიდად დააფასეს ქართველი მეომრების თავდადება და ისინი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს, მამაც კომისარს ვ. ა. კანკავას კი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 13 დეკემბრის ბრძანებულებით სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

უშუალოდ ბრძოლის ველზე გაიმართა მეომართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა სახელოვანი ქართველი მეომრის — პოლიტხელი ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კანკავასათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებას.

ქართველი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს თავისი სახელოვანი შვილების ამ უკვდავ ღვაწლსა და ამაგს. მათი გმირული ბრძოლა ასახულია ჩვენი პოეტების ქმნილებებში; სიმონ ჩიქოვანი სწორედ იმ დღეებში წერდა:

არ შედრკი, შეხვდი გარეწართ,
სიკვდილთან ჯიქურ მიხვედი,
ორი ურჩხული დალეწე,
მოძმეს აუნთე იმედი...

რა გული გქონდა, რა ცეცხლი,
ფიქრი მტკიცე და ნათელი!
ყაბარდოს ველზე დაეცი
თავდადებული ქართველი...

ქართული დივიზიის მეომრებმა უჭკნობი დიდებით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში; მათ, მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, კავკასიის მისადგომებთან შეაჩერეს ფაშისტთა ურდოები, შემდეგ უკუაქციეს და ამით სახელოვანი ფურცლები მიუმატეს ჩვენი ხალხის ცხოვრების დიად მატიანეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აპოლონ ქორდანია

მოთხრობა

უკვე სალამო იყო, როცა წყალქვეშა ოპერაციიდან მობრუნებულმა ზღვისპირა პარკში გაისეირნა, თუ სეირნობა ეთქმოდა ამ ხეტიალს. ომი იყო, მაგრამ წყვილები მაინც ახერხებდნენ მოენახათ ერთმანეთი, სხვა იერი ჰქონდა ახლა მათ შეხვედრებს. ოდნავ უფრო თამამნი გამხდარიყვნენ, ალბათ იმიტომ, რომ არ იცოდნენ შეხვდებოდნენ თუ არა ისევ ერთმანეთს.

ნაგვით სავსე იყო ოდესღაც სისუფთავით განთქმული ქალაქი და პარკი. პარკში სკამები აქეთ-იქით მიყრილ-მოყრილი იყო, ზოგიც წაქცეული, მეზღვაურთა კლუბის წინ აუზი რომ იყო შადრევანით, დამპალი წყლის გუბედ ქცეულიყო.

ის იქვე, აუზთან ახლოს, ნახევრად წაქცეულ სკამზე ჩამოჯდა, დაღლილობას გრძნობდა, ხელები მუხლებზე დაიბჯინა და თავით დაეყრდნო.

ახლოს ვიღაცამ ბაყაყებს გამოაჯავრა, მერე ქვის სროლისა და სტვენის ხმა ჩაესმა.

თავი ასწია და გაიხედა.

უცნობი გოგონა იდგა აუზთან, ცალი ხელით გალავანს დაყრდნობოდა და წყალში კენჭებს ისროდა.

ცოტა ხანს უცქირა, გაეხარდა, რომ გოგო ასეთი ბავშვური უზრუნველობით ერთობოდა, შემდეგ წამოდგა, ახლოს მივიდა. გოგონამ ერთი მოჰხედა და მერე, თითქოს აქ არავინ შეუმჩნევიაო, კვლავ განაგრძო თავისი საქმე.

— კარგი გასართობი გიშოვია, — გამოელაპარაკა, მაგრამ გოგონამ, რომელსაც ჯერ ისევ მოსწავლის კაბა ეცვა, ხმა არ გასცა. მხოლოდ ხელით ანიშნა მასთან ახლოს მისულიყო.

ისიც დაემორჩილა მის თხოვნას, თუ ბრძანებას.

გოგონას არც ახლა შეუჩერებია მის სახეზე მზერა, უბრალოდ თვალი მოავლო და ისე თითქოს დიდ საიდუმლოს ანდობსო, ჩუმად დაუწყო საუბარი.

— აი, ხომ ხედავ ეგერ კუთხეში რომ დიდი ბაყაყია, ვინ არის თუ იცი?

— ვინ უნდა იყოს, შენ თვითონ არ ამბობ, — ბაყაყიაო — არეულად მიუგო, დაბნეულმა ასეთი კითხვით.

— არ გცოდნია! მე რომ მასწავლებელი ვიყო, ცრთიანს დაგიწერდი. — და პირველს მეორე კითხვა მიაყოლა. სახელი ჰკითხა. ოფიცერმა უთხრა.

გოგონა დაიხარა, კენჭები აიღო და აუზში გადაყარა. ბაყაყები აყიყინდნენ.

— აბა ესენი ვინ არიან და რას ამბობენ, რას გაჰყვირიან?

მის წინ გამოცანასავით აღიმართა ეს გოგო. წამით ეჭვიც კი შეეპარა, ავადმყოფი ხომ არ არისო, მაგრამ მაინც მიუგო:

— ჩვეულებრივი ბაყაყები არიან... ბაყაყები არიან და ბაყაყურად ყიყინებენ, მეტი რა უნდა იყოს.

— მე მინდოდა კარგი ნიშანი დამეწერა, მაგრამ სამი კითხვიდან მხოლოდ ერთს გაეცი პასუხი და ისიც ყველაზე უმნიშვნელოს.

ოფიცერს უნდოდა შენობით მიემართა, მაგრამ მის მკერდსა და ტანს თვალი რომ შეავლო, ხიმწიფის ნიშნები შეატყო და...

— თქვენი ნება იყოს, რაც გინდათ ის დამიწერეთ, მაგრამ ამიხსენით რას ნიშნავს ეს შეკითხვა?

— ის დიდი ბაყაყი, აგერ მაღლა რომ ზის, მეთაურია, სხვები კი — გოგონა დაიხარა, ცალი ხელი ოფიცერს მოჰკიდა, მეორეთი კენჭები გადისროლა — ფიურერის ბიჭები არიან და გაჰყვირიან — „ჰაილ ჰიტლერ, ჰაილ ჰიტლერ". ეს აუზი კი ქვეყანაა, მათ რომ აამყრალეს. რას მიცქერი, არ გესმის — „ჰაილ ჰიტლერ", აბა კარგად მიუგდე ყური!

„უცნაურია, — ფიქრობდა ოფიცერი— მათი ხმებიდან მართლა შეიძლება ის სიტყვები გამოიყვანო, რაც შენ გინდა".

„როცა სხვა არაფერი შეგიძლია, ასე უნდა იბრძოლო — მოსდევდა ფიქრი ფიქრს, — ასე უნდა გამოხატო შენი სიძულვილი, ასე ებრძოლო მათ. ყველა ისე იბრძვის, როგორც შეუძლია".

პარკი გაიარეს და ქუჩას გაყვნენ. ყველაფერი უამბო გოგონამ.

სკოლიდან შინ მობრუნებულს მშობლები აღარ დაუხვდნენ, ამას ეწოდებოდა „პირდაპირი მოხვედრა", აღარც თვითმფრინავები ჩანდნენ ცაზე და აღარც სახლი იდგა მიწაზე.

და დადის ასე. რა გააკეთოს, ვისთან მივიდეს. თითქმის დაიცალა ქალაქი.

— შენ რატომ არ წახვედი ქალაქიდან, არ გეშინია?

— რისი, მეტი რა უნდა მოხდეს?

— გერმანელები რომ მოვიდნენ, მაინც არ შეგეშინდება?

— არც მაშინ, მაგრამ შენ არ უნდა მოუშვა ისინი!

გოგონა უფრო ახლოს მიეკრა მას.

შეჩერდნენ.

„სულ ბავშვია", გაიფიქრა მეთაურმა და თავზე ხელი გადაუსვა.

გოგონა თრთოდა.

— ნუ გეშინია, ნუ კანკალებ.

— მე არ მეშინია, ეს ისე...

— ეს ჩემი ოთახია, — უთხრა გოგონამ, როცა ისინი ოთახში შემოვიდნენ, — არ ვიცი აქამდე ვისი იყო, მაგრამ ახლა ჩემია, ხშირად თუ მოხვალ, შენიც იქნება, გინდა ჩემიც იყოს და შენიც.

ვაუს არც კი მიუქცევია ყურადღება მისი ბავშვური ლაპარაკისთვის, ის კედელს გასცქეროდა.

კედელზე ახალგაზრდა ქალისა და კაცის სურათი ეკიდა.

„ალბათ ცოლ-ქმარია. ან ეგებ შეყვარებულნი. არა, ცოლ-ქმარი იქნება ნამდვილად, სურათსაც ქორწილის შემდეგ გადაიღებდნენ, საქორწილო მოგზაურობის დროს. ვინ იცის ახლა სად არიან!

გოგონას ხმა მოესმა.

— რატომ უცქერი ასე იმ სურათს, ახლობელი ხომ არ იყო ის ქალი? თქვენ, მეზღვაურებს უქალოდ ხომ ვერ გაგიძლიათ...

ოფიცერმა გაოცებით მოხედა მას.

— სადაა ის ქალი?

— ვინ ქალი?

— მე არ ვიცნობ. მაგრამ, სულ ერთია, ხომ დადიოდი ვიღაცასთან, ხომ დააცილებდი ვიღაცას, ისე როგორც მე მომაცილე ამაღამ! — და ისეთი სახე მიიღო, თითქოს გაებუტაო.

— არ ვიცი სად არის, ალბათ სადმე გაიქცა, — უპასუხა ოფიცერმა ალალ-ბედზე, თვითონაც არ იცოდა ვისზე იყო ლაპარაკი.

— გიყვარს?

ოფიცერს არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაიღიმა და გაიფიქრა: „ეს ბავშვი... — ფიქრი გაუწყდა, — მოერიდა ეწოდებინა მისთვის ასე, რადგან გრძნობდა, რომ მის წინ იჯდა ნამდვილი ქალი, ქალური ეჭვებითა და გრძნობებით.

უმალ წამოდგა, გამოთხოვებისას გოგონა ბავშვივით შემოეხვია კისერზე.

— ხომ არ გეწყინა ბალში, ცუდი ნიშანი რომ დაგიწერე, ასე უცბად არ შეიძლება ფრიადის დაწერა, ახლა კარგს გიწერ, შემდეგ შეხვედრაზე ფრიადს დაგიწერ. — და უფრო მაგრად მიეკრა მის მკერდს.

— არა, არ მწყენია, მაგრამ ერთი რამ გახსოვდეს, როცა იმ აუზში ბაყაყები აღარ იქნებიან და შენ იქ ჩაივლი, თუ მე აღარ ვიქნები ცოცხალი, მოიგონე, რომ ჩვენ იქ შევხვდით ერთი-მეორეს.

— სუ, ჩუმად, ნუ ამბობ მასე. შენ ველარ მოგერევა მათი ტყვია.

— მაინც, რომ მომერიოს!

— მაშინ მე მოვკლავ მათ — თქვა და თავისი პატარა, ლამაზი მუშტით დაემუქრა ვიღაცას.

„მაინც ბავშვია", გაიფიქრა ოფიცერმა და ტუჩთან მიიტანა მისი პატარა, მუქარით სავსე მუშტი. მერე ნაზად მოიშორა კისრიდან გოგონას მეორე ხელი და კარისაკენ წამოვიდა. კართან გოგონა გადაელობა: „ნუ მიდიხარ, არ გესმის თვითმფრინავები მოფრინავენ და ბომბებს აფეთქებენ". ოფიცერს უნდოდა ეთქვა, არაფერი არ ისმისო, მაგრამ უცბად გაცოცხლდა ეჭვი, პარკში გოგონასთან საუბრისას რომ აღეძრა და გაჩუმება არჩია. თვალებში შეხედა. ეს შიშით სავსე თვალები ნაცნობი იყო მისთვის. „ფსიქიატრები ამას სმენითი ჰალუცინაციებს, აკვიატებას, თუ რაღაც ამდაგვარს ეძახიან. ფსიქოანალიტიკოსები ეძებენ გამომწვევ მიზეზს. არსებობს კი ერთი მიზეზი — შიში, რომლისაგან განკურნებას ისინი აკვიატებული მოვლენის თუ აზრის უარყოფით ცდილობენ, რითაც უფრო აღიზიანებენ მას. საჭიროა კი სწორედ აკვიატებულ სამყაროში ამყოფო იგი, შეაჩვიო და მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად აქციო", — ფიქრობდა ოფიცერი და გოგონას თავზე ხელს უსვამდა.

— მიწყნარდა ხმაური, ახლა მე წავალ! — უთხრა ოფიცერმა და გაუღიმა. გოგონამ კარამდე მიაცილა. ოფიცერმა ნაზად გადაუსვა თავზე ხელი

# ლექსები



ბიძინა მინდაძე

## დრო გადის ჩქარა

დრო გადის ჩქარა...
დრო გადის ნელა...
ჩვენ ის გვახარებს, ანდა გვაშინებს...
როცა იმედი დღესავით ქრება,
ახალი წელი დგება მაშინვე;
ტელეფონების გაბმული ზარი
ჟრუანტელივით ოთახებს უვლის,
იმტვრევენ თითებს ხეები ქარში
და ვერ იკლავენ უთოვლოდ წყურვილს.
ირგვლივ მთებზე კი, ქათქათებს თოვლი,
ქალაქი თითქოს დგას ცარცის წრეში,
მე ვაღებ კარებს,
ვიღაცა მოდის...
მე შენი ხელი მიჭირავს ხელში.
სხვა წელიწადში წუთი გადადის,
შენ გაქვს თვალები რატომღაც სველი.
და კოცნა, როგორც სილის საათი
დროს სუნთქვას უკრავს მაღალი ყელით.
დრო გადის ჩქარა?
დრო გადის ნელა?
დრო დაიკარგა შენს ლამაზ თმებში...
და უსასრულოდ ნათელი დილა
გალიმებული დგას ცარცის წრეში.

## მე მომეჩვენა

მე მომეჩვენა, რომ დაგინახე,
რომ შენ იდექი ქუჩის გადაღმა,
მე მომეჩვენა, რომ დამიძახე,
შეშფოთებით და ოდნავ ხმამაღლა.
მე დავიჯერე, რომ შენ გჭირდები
და სიხარულმა ამივსო პეშვი
და აშრიალდნენ მწვანე მინდვრები
ჩემ სულში, როგორც აპრილის თვეში.
და გაზაფხული პირმომცინარე
დადგა ქალაქის ღია კარებთან.
ადიდებული, როგორც მდინარე
ქუჩა მანქანებს მოაქანებდა.
არ დაგიდევდათ სივრცეს და მანძილს
ირეკლებოდა აპრილი ცაში.
...შუა ქუჩაში მირბოდა კაცი
და მიყვებოდა სტვენა და ტაში...
ქუჩის გადაღმა არავინ იდგა
კარგად ვიცოდი, მაგრამ მჯეროდა,
ვით გაზაფხული გამოდის მინდვრად,
გამოხვიდოდი მზეზე ჩეროდან.
გამოხვიდოდი და იმედებით
ამევსებოდა გაწვდილი პეშვი,
იშრიალებდნენ მწვანე მინდვრები
ჩემ სულში, როგორც აპრილის თვეში.

*

ყოველთვის მიკვირს, როცა გავამხელ
რა უეცარი გვქონდა შეხვედრა...
აგიგე კოშკი და დაგასახლე
და მეშინოდა ხელის შეხება.

ვით სტუმრებისგან დაცლილ სახტუმროს
სიცარიელე მხრებზე მათოვდა
და მჭირდებოდა როგორც დასტური —
შენი ხმითა და თმებით დათრობა.

გამომაფხიზლა მერე უარმა.
აღარც ვდარდობდი, აღარც ვშიშობდი...
თოვლში ვიწექი დიდხანს გულაღმა,
გულში დაჭრილი შენი სიშორით.

ისევ და ისევ ვეძებდი მიზეზს.
შედეგი ისეც იყო ნათელი
და როგორც დანის ალესილ პირზე
ტუჩებზე თრთოდა შენი სახელი...

## ენგურის-სათავე

მას როცა უდგას სული წყაროთი,
არა სჭირდება მთებში მეგზური,
გზას არ მიიკვლევს ვინმეს წყალობით —
მხარას გულიდან მოსჭუხს ენგური.

მხარას სისხლია, მხარას სულია,
გული ერჩის და ფათერაკს ეძებს,
გარს არავისთვის შემოუვლია —
დალეწილი აქვს ნეკნები ქვებზე.

და უილაჯოდ ღრენენ ეშვებით
ცის სილურჯეში წასული მთანი...
მთებს მიარღვევს და დაბლა ეშვება,
გაურანდავი მდინარის ტანი...

## სინანული

მე შორს მივდივარ და შენზე ვფიქრობ
და მატარებლის აკვანი მარწევს...
შენი ლამაზი ხელების სითბო
თოვლის ზოლივით გაირბენს გზაზე.

მე შორს მივდივარ. შენ ვერ მომაგნებ,
მახსოვს, ჩემს ძახილს როგორ ელოდი,
ხოლო მე განგებ, ან თითქმის განგებ,
განგებას ვცდიდი და არ გხვდებოდი.

დღეს მხრებზე მაწევს ის გულგრილობა
და გვირაბები პირებს აღებენ...
და ჩემი სულის ღია ფრთილობა
გაფენილია ლიანდაგებზე.



და გაშორდა. გოგონა დიდ ხანს გასცქეროდა ბნელ ქუჩას, რომელსაც ოფიცერი მიჰყვებოდა. „წუთები, საოცარი და საბედისწერო, — სიცოცხლე, მთელი საუკუნეც რომ გაგრძელდეს, ახეთ საბედისწერო წუთებში განცდილის გახსენება და მასთან ბრძოლა იქნება“.

„რა მოელის ამ გოგონას“ — ფიქრობდა გემისაკენ მიმავალი ოფიცერი.

* * *

დანიშნულ ადგილას რომ მივიდა, გოგონა აღარ დაუხვდა, შიშველი კედლები-ღა იდგა კლუბის ნაცვლად, აუზი კი ნანგრევებით იყო სავსე. გაუხარდა, რომ ბაყაყების ყიყინი არ ისმოდა, იფიქრა გოგონასაც გაეხარდებაო.

იდგა კარგა ხანი, ელოდა, მაგრამ ის არ ჩანდა. მაინც იდგა და ელოდა.

ახლა იმ სახლისაკენ გასწია. არც იქ დაუხვდა. ისევ უკან მობრუნდა.

კიდევ დიდი ხანი ელოდა, მაგრამ ის არ მოდიოდა.

რამდენჯერმე შემოუარა კლუბის ნანგრევებს. დანგრეულ კედლის ძირას ახალგაზრდა ქალის გვამი ეგდო. მივარდა, კარგად დააკვირდა, მტვერში გასვრილი სახე მოსწმინდა. ის არ იყო.

მაჯა გაუსინჯა, ზედმეტი იყო ეს, მაგრამ, მაინც გაუსინჯა.

„ეს ის არ არის, მაგრამ ვინ იცის ეგებ ესეც სადმე მიიჩქაროდა, რომ შეხვედროდა ვინმე სიკვდილიდან მობრუნებულ მეზღვაურს და აქ მოუსწრო სიკვდილმა, ხოლო ის მეზღვაური ჩემსავით ელოდება მას. ან ეგებ მასაც სადმე მოუსწრო სიკვდილმა და ვიღაც მეზღვაური ამის მოლოდინში სახეს უწმენდს და მარხავს სადმე“.

ისევ დააცქერდა მას, მის ხელებს, ჯერ კიდევ გუშინ სიყვარულითა და სიძულვილით მფეთქავ მკერდზე დაუკრიფა ხელები, მერე ერთ წუთს იფიქრა, ლაბადა გაიხადა, გაახვია შიგ ცხედარი, თხრილში ჩაასვენა, მიწა მიაყარა და იქვე ჩამოჯდა.

თხრილის იქით რაღაც პატარა შეხვეული ეგდო. წამოდგა, ხელში აიღო და გახსნა.

შეცბა. ეს ხომ თვითონ მოიტანა. პური და კონსერვი, საჩუქარი ქალიშვილისთვის, მკვდრის დანახვაზე, რომ მიაგდო იქვე.

ბაღიდან გამოვიდა.

ნელი ნაბიჯით მიჰყვებოდა ქუჩას. ვიღაც მოხუცმა ჩაუარა. არაფერი უთქვამს მისთვის, ისე ხელში მიაჩეჩა კონსერვი და პური.

მოხუცმა რაღაც ჩაილაპარაკა.

არ იცის რა და არც აინტერესებს.

ისევ ისე, ნელი ნაბიჯით გაჰყვა გზას გემისაკენ.





# სტუმრად გერმანელ მეგობ-რებთან

ზურაბ ახვლედიანი

## ერთი საათი ორი სამყაროს საზღვარზე

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩვენი დელეგაციის დაბრუნების შემდეგ ბევრი გვეკითხებოდა, რას წარმოადგენს „ბერლინის კედელი“? ნამდვილად კედელია, თუ მხოლოდ სიმბოლურად გულისხმობენო?

დიახ, ეს ნამდვილი კედელია. მისი სიმაღლე ორი მეტრია. მას უჭირავს ქალაქზე გამავალი 45 კილომეტრიანი საზღვრის ერთი მესამედი. საზღვრის დანარჩენ 30 კილომეტრზე მავთულხლართის ღობურებია.

საჭირო იყო თუ არა ამ კედლისა და მავთულხლართის ღობურების აგება? სამწუხაროდ, საჭირო იყო, და თანაც აუცილებლად და გადაუდებლად. და აი რატომ.

...გერმანელმა მეგობრებმა მიგვიპატიჟეს ბრანდენბურგის ჭიშკარის დასათვალიერებლად.

ამ არქიტექტურულ ძეგლზე, რომელიც ბევრისთვის ესოდენ კარგად არის ნაცნობი ფოტოსურათების, ილუსტრაციებისა და კინოქრონიკის მეოხებით, მე ვიცოდი მხოლოდ ის, რომ იგი ააშენეს 1791 წელს, როგორც მშვიდობის სიმბოლო (სხვათა შორის, სასიამოვნო იყო იმის დანახვა, რომ მშვიდობის განმასახიერებელი სკულპტურული ჯგუფი, სახით მოქცეულია აღმოსავლეთისაკენ, დემოკრატიული გერმანიისაკენ...) და რომ 1933 წლიდან დაწყებული, აქ ხშირად იკრიბებოდნენ ესესელების, მოიერიშეების, ფაშისტი ყაჩაღების აღვირახსნილი ურდოები.

ახლა ბრანდენბურგის ჭიშკარზე გადის დასავლეთ და აღმოსავლეთ ბერლინის საზღვარი.

ჭიშკრის ერთ-ერთ გვერდით ფლიგელში შექმნილია თავისებური მუზეუმი, სადაც შეკრებილია საზღვრის დამრღვევთათვის ჩამორთმეული დოკუმენტები, იარაღი, ფოტოსურათები, სხვადასხვა სახის დივერსანტული და ჯაშუშური აღჭურვილობა. აქვე, სადემონსტრაციო დარბაზში, ეროვნული სახალხო არმიის ოფიცრები აცნობენ დამთვალიერებლებს იმ ვითარებას, რომელშიც უხდებოდათ და უხდებათ საზღვრის დაცვა, აცნობენ ბერლინში აგებული დამცველი კედლის შექმნის ისტორიას. ბრანდენბურგის ჭიშკართან მრავალრიცხოვანი ტურისტები, სტუმრები, მშრომელთა დელეგაციები ხვდებიან მესაზღვრეებს! (უნდა ითქვას, რომ ეროვნული სახალხო არმიის მებრძოლები უდიდესი სიყვარულით სარგებლობენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობაში).

„ პოდპოლკოვნიკმა ჰოფმანმა, ორმოცი წლის ოფიცერმა, თავაზიანად მიგვიწვია ქალაქ ბერლინისა და მისი გარეუბნების რუკასთან. იგი წამდაუწუმ ანთებდა რუკაზე გაბნეულ სხვადასხვა ფერის ნათურებს, ატრიალებდა დიაპოზიტივს დოკუმენტური კადრებით, და თან გვიამბობდა... მე მოვიყვან ამ ნაამბობს, რომელიც ოდნავ შემოკლებით ჩავიწერე.

...1961 წელს, ანუ ჯერ კიდევ საზღვრის დახურვამდე, დასავლეთ ბერლინში თავმოყრილი იყო 90-ზე მეტი სადაზვერვო და სადივერსიო ჯგუფი, 60-ზე მეტი რევანშისტული და მილიტარისტული ორგანიზაცია, მთელი რიგი სამხედრო ბაზები. დასავლეთ ბერლინი სისტემატურად იქცეოდა „საფრონტო ქალაქად“, ცდილობდნენ გადაექციათ იგი „აღმოსავლეთ ზონაში შეჭრილ სოლად“.

ყოველდღიურად საზღვარზე დაუბრკოლებლად გადმოდიოდა 100 ათასი კაცი — 78 საკონტროლო პუნქტს შეეძლო კონტროლი გაეწია ადამიანთა ამ უზარმაზარი მასის მხოლოდ ერთი პროცენტისათვის. ღია საზღვარი საშუალებას აძლევდა მტრებს გამოეყენებინათ დემოკრატიული გერმანიის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მოქმედების ყველა საშუალებანი — დაწყებული ეკონომიური დივერსიით, სპეკულატური მაქინაციებით, ადამიანთა მოსყიდვით, შანტაჟით, ბინძური პროპაგანდისტული ლიტერატურით და დამთავრებული პირდაპირი დივერსიული აქტებით — ცეცხლის წაკიდებით, წყლის მოწამვლით და ა. შ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას არ შეეძლო შერიგებოდა ასეთ მდგომარეობას და მან გადადგა ნაბიჯი, რაც ნაკარნახევი იყო ქვეყნის უშიშროების ინტერესებით: 1961 წლის 13 აგვისტოს დაწესებული იქნა კონტროლი საზღვარზე არსებულ ყველა გადასასვლელზე, მაგრამ საზღვარი როდი დახურეს: დასავლეთ ბერლინელებს შემოწმების შემდეგ შეეძლოთ ხწვეოდნენ ნათესავებს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში.

მაგრამ შემდგომმა ამბებმა ცხადჰყვეს, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ჰუმანურმა გადაწყვეტილებამ ვერ გამოიღო სათანადო შედეგები — დასავლეთ-გერმანელებისათვის გახსნილი საზღვარი კვლავინდებურად გამოიყენებოდა დემოკრატიულ გერმანიაში ჯაშუშებისა და დივერსანტების შემოსაგზავნად, აგრეთვე გდრ-დან დასავლეთ ბერლინში ადამიანთა არალეგალურად გადაყვანისათვის. ამ დანაშაულებრივმა მოქმედებებმა დემოკრატიული გერმანიის წინააღმდეგ გამოიწვია ის, რომ 1961 წლის 23 აგვისტოს დასავლეთბერლინელი მოქალაქეებისათვის შემოღებულ იქნა სპეციალური საშვები. ახლა ასეულ ათასობით დასავლეთბერლინელი ნახულობს თავის ნათესავებს აღმოსავლეთ ბერლინში მხოლოდ საამისოდ დაწესებულ პერიოდებში.

— მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს ამ ზომების მიღების შემდეგ საზღვარზე სიმშვიდე ჩამოვარდა. პროვოკაციების პოლიტიკა, უწესო მოქმედებანი გრძელდება. აი ოფიციალური მონაცემები: 1966 წლის მარტამდე გდრ-ს სახელმწიფო საზღვარზე დასავლეთ ბერლინთან მოწყობილ იქნა 31.000 სხვადასხვა პროვოკაცია, აქედან 16.000 პირდაპირი დანაშაულებრივი მოქმედება; დასავლეთბერლინელი ვაჟბატონები, დაქირავებულნი რევანშისტებისა და მილიტარისტების მიერ, ისვრიან ჩვენს მხარეს ქვებს, ცეცხლგამჩენი სითხით სავსე ბოთლებს, ანგრევენ სასაზღვრო ნაგებობებს, სიკვდილით ემუქრებიან ჩვენს მესაზღვრეებს. ოცდაექვსჯერ მოაწყეს ბომბებით თავდასხმა. რას აკეთებს ამ დროს დასავლეთ ბერლინის პოლიცია? — იკითხავთ თქვენ. იგი ყოველი ასეთი ინციდენტის დროს მხარს უჭერს პროვოკატორებს, იწყებს სროლას მათ დასაცავად და გულდამშვიდებით უყურებს თუ როგორ იჭრებიან ისინი გდრ-ს ტერიტორიაზე. მე შემიძლია დავასახელო ათობით გვარი, მოვიყვანო ათობით ფაქტი. ჩვენ ვაწარმოებთ ყველა პროვოკაციის, ყველა დარღვევის ზუსტ და მკაცრ აღრიცხვას... დასავლეთ ბერლინის მხრიდან ჩვენს მხარისკენ 521-ჯერ ატეხეს სროლა! გდრ-ს 33 ჯარისკაცი დასჭრეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, 6 მოჰკლეს. ექვსი ჭაბუკი — ერგენ შმიდტხენი, ზიგფრიდ ვიდერა და სხვები გახდნენ თავხედური, აღმაშფოთებელი პროვოკაციის მსხვერპლნი.

— მერე? ნუთუ თქვენ დაუსჯელად ტოვებთ მკვლელებს?

— იცით რა, იმ შემთხვევებში, როცა სროლას დასავლეთ ბერლინიდან იწყებენ, ჩვენ უძლურნი ვართ. ჩვენში მოქმედებს უმკაცრესი ბრძანება, არ ვუპასუხოთ სროლით საზღვრის იქით. თქვენ, რა თქმა უნდა, გესმით, რომ ასეთი წესი შეესიტყვება ჩვენი მთავრობის მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას, იგი მთლიანად შეესაბამება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრინციპებსა და მისწრაფებებს. და ჩვენ ვალდებულნი ვართ მტკიცედ შევასრულოთ სარდლობის ბრძანება.

ჩვენ ყურადღებით ვუსმენდით პოდპოლკოვნიკს. ყველაფერი, რასაც ის გვიამბობდა, ჩვენთვის ხომ დიდი ხანია რაც ცნობილი იყო, ასე ვთქვათ, „თეო-

* დასასრული. იხ. „დროშა“, № 1.

რიულად" — პრესისა და ოფიციალური მასალების მიხედვით. მაგრამ ცნობილი ფაქტებიც კი, როცა მათ ისმენ ადგილზე, ამბავის უშუალო მონაწილეხაგან, იძენენ სრულიად სხვა შინაარსს, სულ სხვაგვარად გამოიყურებიან. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ ბრანდენბურგის ჭიშკრის წინ გაშლილ მოედანზე გამოვედით და სასაზღვრო კედლის გაყოლებით ჩავიარეთ. საზღვრის იქით იდგა დიდი ბრბო — სამხედროები, სამოქალაქო პირები, მამაკაცები, ქალები. იქ ისინი ყოველთვის ბევრნი არიან, — თქვა ჰოფმანმა, — დასავლეთელი ტურისტები, რეპორტიორები, უბრალოდ უსაქმურები დგანან, იცქირებიან, სურათებს იღებენ... მაგრამ განა მარტო სურათებს იღებენ. გდრ-ს სასაზღვრო სამსახურის 22 წლის უნტერ-ოფიცერი პეტერ გერინგი ადგილზევე მოჰკლეს, იქითა მხრიდან გასროლით, როცა ის საზღვრიდან 30 მეტრზე იმყოფებოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე... კედელთან დროდადრო გამოჩნდება ხოლმე დასავლეთ ბერლინის ტელევიზიის კამერებიც. ისინი აქ გამოჩნდნენ იმ დღესაც, როცა მოჰკლეს გდრ-ის მესაზღვრე, 20 წლის რეინგოლდ ხუნი, და ზუსტად იმ ადგილას, სადაც ეს მკვლელობა მოხდა. მართლაც უცნაური დამთხვევაა, არა?

...გამოთხოვებისას პოდპოლკოვნიკმა ჰოფმანმა გადმოგვცა სამახსოვრო საჩუქრები, ბრანდენბურგის მუზეუმის სუვენირები. ჩვენ გადავშალეთ შთაბეჭდილებების წიგნი და თვალში გვეცა კონსტანტინე ფედინის 1963 წლის 15 სექტემბრის ჩანაწერი: „ალბათ, არსად ქვეყანაზე ასე მწვავედ არ იგრძნობ ჩვენი პლანეტის ორ ძალად — ომისა და მშვიდობის ძალად გათიშვის ტრაგედიას, როგორც ბრანდენბურგის ჭიშკართან ორად გაყოფილი ქალაქის ამ ხაზზე. მაგრამ, ამავე დროს, არსად ქვეყანაზე ისე არ იწრთობა ადამიანური სწრაფვა მშვიდობისა და დედამიწის ბედნიერებისათვის საბრძოლველად, როგორც აქ, ამ ხაზზე"...

რა შეიძლება დავუმატოთ ამ სიტყვებს? ვერაფერს ვერ დაუმატებ!

## ბერლინური საღამოები

ჩვენი გადაცემის მომზადებისათვის ფაციფუცის, ოფიციალური მიღებებისა და ვიზიტებისაგან თავისუფალ დროს ჩვენ, ბუნებრივია, ვიყენებდით გდრ-ს დედაქალაქის ცხოვრების გაცნობისათვის. აქ ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა თანამედროვე დიდი ევროპული ქალაქის გამოზომილი, რიტმული მაჯისცემა. აქ უამრავი მანქანაა — მსუბუქი, საბარგო, ავტობუსები, ველოსიპედები. თითქმის ყოველ ქუჩაში, ყოველ კუთხეში მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები: აგებენ ახალ შენობებს, განაახლებენ და არემონტებენ ძველებს, დგამენ „მცირე არქიტექტურის" ნაგებობებს — თაღარებს, კიოსკებს, პავილიონებს, შადრევნებს, აუზებს, აკეთებენ სკვერებს, პარკებს... „ქუჩის ტემპი", თუ შეიძლება ასე ითქვას, აქ საქმიანია — არც განსაკუთრებული ფაციფუცი იგრძნობა, არც მეტისმეტი აუჩქარებლობა.

ქუჩები ადრე ცარიელდება, უკვე ღამის 10-11 საათზე ქალაქში თითქოს წყდება სიცოცხლე. სამაგიეროდ რესტორნები, კაფეები, ღამის ბარები ხალხით არის სავსე. ადამიანები — მოხუცები და ახალგაზრდები, წყვილები და მთელი ოჯახები — საათობით უსხედან მაგიდებს, წყნარად საუბრობენ, ცეკვავენ ჯაზის მელოდიებზე. თვალს გააპარებ მეზობელ მაგიდისაკენ და დაინახავ ან ფინჯან ყავას, ჭიქა კონიაკს ან მსუბუქ ვახშამს, ჭიქა ღვინოს ან ლუდს. რესტორნებსა და ღამის ბარებში ატმოსფერო (მსუბუქი განათება, მუსიკა, კარგი გაფორმება, შესანიშნავი მომსახურება) სასიამოვნოა და ჩვენც დიდი კმაყოფილებით გავატარეთ იქ ორიოდე საღამო. ორიოდე სიტყვა „რესტორანული მუსიკის" თაობაზე. ჩვენ მეტად გვასიამოვნა და გაგვაოცა იმან, რომ მოწმე გავხდით ერთ-ერთ რესტორანში ქალთა მშვენიერი ინსტრუმენტული კვარტეტის გამოსვლისა, ეს კვარტეტი მთელი საღამო ასრულებდა ბრამსის, შუბერტის, მასნეს, რუბინშტეინისა და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებებს.

მე მაგონდება საღამო, რომელიც ჩვენი გერმანელი მეგობრების მიწვევით გავატარეთ ღამის რესტორანში. ისინი თითქოს შეთანხმდნენ, რომ ეს საღამო განსაკუთრებული სითბოთი და გულითადობით განემსჭვალათ. ლიზას მიერ უნარიანად და დიდი ტაქტით წარმართული საუბარი თითქმის სულ საქართველოს ეხებოდა; ამ ჭკვიანმა და ღრმად ერუდირებულმა ქალმა ისეთი სიყვარული გამოავლინა საქართველოსა და მისი ხალხისადმი, ისეთი გულწრფელი აღტაცებითა და გაგებით ლაპარაკობდა ჩვენს მხატვრებზე, კომპოზიტორებზე, მთაწმინდასა და მამულაშვილისეულ ბაღზე, ფიროსმანისა და ოჩიაურის ნამუშევრებზე, რომ ჩვენ, სიმართლე გითხრათ, ცოტა შეცბუნებულნი დავრჩით (ამას წინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა, რომ ლიზას მეუღლეს — თავისუფალი გერმანული პროფკავშირების გაერთიანების ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარეს, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ჰერბერტ ვარნკეს მიენიჭა საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის").

და კიდევ ერთ საღამოს ვიგონებ გულწრფელი მადლიერების გრძნობით — საღამოს, რომელიც რესტორან „მოსკოვში" ჩვენს პატივსაცემად მოაწყეს გდრ-ს რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტის განყოფილების რედაქტორმა კარლ კენიგემ და მისმა მეუღლემ. კარლი — მხიარული, დახვეწილი იუმორით სავსე ადამიანია. იგი შესანიშნავი მოსაუბრეც გახლავთ. მასთან — მას ერთი წუთითაც არ მივუტოვებივართ გდრ-ში ჩვენი ყოფნის მთელი ხნის მანძილზე — ჩვენ თავს ვგრძნობდით უბრალოდ, მხიარულად და თავისუფლად. მაგრამ ამჯერად იგი იძულებული იყო პირველობაც და მასპინძლის ფუნქციებიც მეუღლესათვის დაეთმო. ფრაუ ერიკა ჩვენ რესტორნის ვესტიბიულშივე შეგვეგება და მაშინვე მაგიდასთან მიგვიწვია (აღვნიშნავ, რომ სადილის, ვახშმისა თუ საქმიანი შეხვედრისათვის დანიშნულ დროს აქ მეტისმეტად ზუსტად იცავენ).

სუფრაზე ჩვეულებრივი საუბარი გაიმართა — ჩვენს შთაბეჭდილებებზე, გდრ-სა და სსრ კავშირს შორის კულტურულ ურთიერთობებზე, სპორტზე, ლაიპციგის მომავალ ბაზრობაზე. ფრაუ ერიკას ინიციატივით საუბრის თემა ნელ-ნელა გადავიდა საქართველოზე — მის ისტორიაზე, კულტურაზე, ლიტერატურაზე. მისგან ცალკეული ზოგადი შთაბეჭდილებანი რომ მოვისმინე რუსთველის იუბილეზე, ძალიან არ გამიკვირდა — ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახებ ხომ მთელი მსოფლიოს პრესა ლაპარაკობდა. მისმა შემდგომმა ფრაზამ „ვეფხისტყაოსანის" შესახებ უკვე მიიქცია ჩვენი ყურადღება. მაგრამ როცა ჩვენი დიასახლისი ალაპარაკდა თამარ მეფისა და მისი ეპოქის შესახებ, საქართველოს ისტორიის ცალკეული პერიოდების შესახებ — ვიფიქრე, ფრაუ ერიკა ჰუმანიტარული მეცნიერების რომელიმე დარგის სპეციალისტია-მეთქი. საუბარი შემდგომშიაც ამგვარი სულისკვეთებით გაგრძელდა — ვლაპარაკობდით, ვკამათობდით ლიტერატურის, ხელოვნების შესახებ, მაგრამ საუბრის მთავარ ძარღვად მაინც ყოველთვის საქართველო რჩებოდა.

მე შესაძლოა უკუვაგდე კიდეც ერთგვარი მორიდებულობა, როცა ფრაუ ერიკას შევეკითხე — სად მუშაობთ-მეთქი, ქალმა მიპასუხა:

— მილიციაში ვმუშაობ.

და, ჩემი გაოცება რომ დაინახა, ღიმილით დასძინა:

— დიდმნიშვნელოვანი სისხლის სამართლის საქმეების გამომძიებლად.

...ხვალისთვის გამოცხადებული იყო ტელეგადაცემა საქართველოზე. დღეს კი ჩვენ უნდა ჩაგვეწერა და გადაგვეღო გადაცემის შესავალი ნაწილი (ძირითადი პროგრამა უკვე წინდაწინ იყო მომზადებული გდრ-ს ტელევიზიის მიერ).

ჩვენ სტუდიაში ვართ. ჩვეულებრივი სურათია: ტელეკამერები, გამანათებელი ტექნიკა, ფეხებში გაბლანდული ზონრები, შეფიქრიანებული რეჟისორები, უდარდელი ოპერატორები... ყველაფერ ამას შეჩვეულები ვიყავით, მაგრამ თუ რამე იწვევს ჩვენს გაოცებასა და აღტაცებას — ეს სტუდიის გაფორმებაა, ფონი იმისა, სადაც გაიმართება ჩვენი საუბარი. მთელს კედელზე გაშლილ უზარმაზარ სტენდზე ჩვენი მთაწმინდის ფოტოსურათია, მარცხნივ „ქართლის დედის" ნაცნობი ფიგურა ამართულა. მსუბუქ სტელაჟებზე ქართული კერამიკაა: ქილები, ვაზები, ფიალები და — ოჩიაურისა და გურულის შესანიშნავი ჭედური ნამუშევრები.

ჩვენ, ქართველ სტუმრებს, გვიწვევენ მრგვალ მაგიდასთან. ინტერვიუს იღებს ჩვენგან ტელევიზიის ერთ-ერთი განყოფილების მთავარი რედაქტორი, თარგმნის ურსულა.

ჩაწერის შემდეგ გავშინჯეთ ფირი — ყველაფერი ნორმალურად იყო. ხვალ საღამოს ჩვენ ტელევიზორში ვინახულებთ მთელს პროგრამას...

...და აი ჩვენ ტელევიზიის სასტუმრო დარბაზში ვართ. აქ მოვიდა ტელევიზიის თითქმის ყველა ხელმძღვანელი ამხანაგი, აქვეა ჩემი გერმანელი კოლეგა პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან. ზუსტად 21 საათზე ეკრანზე გამოჩნდა ლიზა ვარნკეს მომღიმარე სახე. მიმართავს რა ტელემაყურებლებს, იგი ლაპარაკობს საქართველოზე, იმაზე, რომ ამ პატარა, მშვენიერმა ქვეყანამ გადაიტანა მრავალი უბედურება, რომ მისმა ხალხმა — მამაცმა, მშვიდობისმოყვარემ, ნიჭიერმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნა მეტად მაღალი კულტურა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოებები, რომ დღევანდელი საქართველო არის დიდი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკა მაღალგანვითარებული მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებითა და კულტურით. შემდეგ ეკრანზე ვხედავთ ჩვენს თავს, მერე ოთახში იჭრება შესანიშნავი ქართული მელოდიები, მათ ჩვენ გადავყავართ ათასობით კილომეტრების მანძილზე — სამშობლოში. ეკრანზე დინჯად მიცურავენ კავკასიონის დიდებული მწვერვალები, ულრანი ტყეები, ნაპირთან მოტლაშუნე შავი ზღვის ტალღები. კადრი კადრსა ცვლის — ჩვენ წინ ერთიმეორეს მისდევენ ქარხნები, ჩაის პლანტაციები, თბილისის ქუჩები, ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები, საგამოფენო დარბაზები... სტუდენტები დაჩრილან წიგნებზე... ხურცილავაართმევს ბურთს მოქიშპეს... იღვრება გამდნარი ფოლადი... მიქრის ელმავალი... მწვანე ზღვაში მიცურავს „საქართველო"... დარბიან კლავიშებზე ელისოს მგრძნობიარე თითები... თავბრუდამხვევად ტრიალებენ შავფაფახიანი ჭაბუკები... დიქტორის ტექსტს ცვლის სიმღერები, ჩვენი სამშობლოს მელოდიები... „ლილეო"... „ფიროსმანი"... გადაცემას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის, ევროპის მილიონობით ტელემაყურებელი უცქერის... საქართველოს და ქართველი ხალხის სადიდებელით ამთავრებს გადაცემას ეკრანიდან ლიზა...

## „სალამი საქართველოს!"

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სტუმართმოყვარე მიწაზე გატარებული დღეები სავსე იყო შეხვედრებით, შთაბეჭდილებებით, მეგობრული, გულახდილი საუბრებით, ყველაფრის მოყოლა შეუძლებელია პატარა ნარკვევში. ჩვენ ვიყავით დრეზდენში, ვნახეთ „ცვინგერი" — XVII საუკუნის საუცხოო არქიტექტურული ძეგლი. „ცვინგერის" მრავალრიცხოვან პავილიონებსა, გალერეებსა და სალონებში თავმოყრილია ხელოვნების ნაწარმოებთა უმდიდრესი კოლექცია. აქვეა

# ისტორიულ-იკონოგრაფიული ძიებანი

აკაკი განერელია

## რამდენიმე ახალი ცნობა ჟან რიშარის შესახებ

სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებიდან ჩვენ ვიცით, რომ ის ვახტანგ VI-ეს თან ახლდა 1712 წელს ისპაჰანში, შაჰ სულთან-ჰუსეინთან. მისი „ლექსიკონის“ ჩანაწერში აღნიშნულია: „ქორონიკონს ჩლიბ (1712) აპრილს კგ (23) ისპაანს წავიდა, მეფე ვახტანგს გაჰყვა. ბ (2) ნოემბერს გამობრუნდა. დეკემბერს კ (20) ქართლს მოვიდა“.

1713 წლის ზაფხულში საქართველოში სპარსეთიდან (ერევნის გამოვლით) ჩამოდის აბატი ჟან რიშარი, რომელიც პარიზს მიემართებოდა საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად ლუი XIV-სთან, ამასთან ფარულად მიჰქონდა ირანში პატიმრად მყოფ ქართლის მეფის (ვახტანგ VI-ემ უარი სთქვა რჯულის გამოცვლაზე) ვრცელი წერილი-მემორანდუმი საფრანგეთის მეფესთან. ქართლის მაშინდელმა (1716-1719 წ.წ.) გამგებელმა სვიმონმა რიშარს გამყოლები მიუჩინა და ზღვამდე მიაცილებინა იგი. გამყოლთა შორის იყო დიდი სულხან-საბაც, რომელიც გორში დახვდა რიშარს. მას გადაწყვეტილი ჰქონია ევროპაში გამგზავრებულიყო რიშართან ერთად დიპლომატიური მიზნით, თანაც სულხან-საბას დიპლომატიური მისია საიდუმლოებით ყოფილა მოცული (დოკუმენტში ნათქვამია „საფრანგეთში გაიპარაო“), რაც ქართლის სამეფო კარსაც არ სცოდნია. საბამ და რიშარმა გაიარეს დასავლეთ საქართველო, ინახულეს სამეგრელო პატრიარქი გრიგოლი, რომელსაც მათთვის აგრეთვე ვინმე ბერი დავითი გაუყოლებია. სულხან-საბამ შავ ზღვამდე მიაცილა რიშარი და მხოლოდ მაშინ გაუმხილა ფრანგ აბატს თავისი განზრახვა პარიზსა და რომში გამგზავრებისა. კონსტანტინეპოლიდან ისინი აღწევენ საფრანგეთის დედაქალაქს. 1714 წლის აპრილში საბა პირველად წარუდგა ლუი XIV-ეს ვერსალში საგანგებო მოხსენებით. საფრანგეთის ხელისუფლებთან საბას მიმოწერა მაშინდელ საქართველოს მძიმე სურათს გვიშლის თვალწინ.

ქართველი დესპანი აცნობებდა საფრანგეთის ხელისუფალთ საქართველოს მდგომარეობას, პირდებოდა ფრანგი ნეგოციანტებისათვის "ხელსაყრელ პირობებს", თუ ვახტანგ VI-ეს გამოიხსნიდნენ პატიმრობიდან და იგი თავის ქვეყანას დაუბრუნდებოდა, ქართველების კათოლიკურ სარწმუნოებაზე ერთიანად მოქცევას და ა. შ. სულხან-საბას მთავარი საზრუნავი მაინც იმაში მდგომარეობდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად საფრანგეთის მთავრობას უნდა გაეღო 300.000 ეკიუ ირანის ხელისუფალთა (უმთავრესად შაჰ სულთან-ჰუსეინისა და ქრთამის მოყვარული მისი პირველი ვეზირის ფათალიხანის) გულის მოსაგებად (ამის შესახებ დაწვრ. ის. ჩვენი „მასალა ვახტანგ VI ბიოგრაფიისათვის“).

მრავალგზის მუდარისა და დიპლომატიური ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოს დესპანს საფრანგეთის მეფისგან რეალური (ფულადი) დახმარება არ მიუღია. მაშინ სულხან-საბამ გადაწყვიტა კათოლიკეთა მწყემსმთავრისათვის მიემართა ლუი XIV-სთან შუამდგომლობისათვის და იგი რომს გაემგზავრა (1714 წ. ივნისი). ჟან რიშარი კი უფრო ადრე ჩასულა იქ სულხან-საბას სასარგებლოდ სხვადასხვა ზომების მისაღებად. მაგრამ რომის პაპმაც ხელცარიელი გამოისტუმრა საბა სამშობლოსაკენ.

პარიზსა და რომში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის პერიპეტიები გაშუქებულია მ. ბროსეს მიერ მთელი რიგი დოკუმენტების პუბლიკაციით, მ. თამარაშვილის ცნობილ წიგნში „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“ (ტფ., 1902), გიორგი ლეონიძის, ლ. მენაბდის და ალ. ბარამიძის მონოგრაფიებში, დ. ლენგის, ვ. გაბაშვილის, ჯ. ლომაშვილის, ბ. გიორგაძის და სხვების მიერ. უკანასკნელ ხანებში სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის და მასში ჟან რიშარის წვლილის გაშუქების მხრივ ბევრი დეტალი დააზუსტა, დღემდე უცნობი დოკუმენტების გამოქვეყნებით, ილია ტაბაღუამ.

სახელგანთქმული „დრეზდენის გალერეა“. მოხუცმა ექსკურსიათმძღოლმა გვიამბო 1945 წლის 13 თებერვალს ღამით დრეზდენზე ინგლისის სამხედრო თვითმფრინავების თავდასხმის შესახებ:

— ომის ყველა დანაშაულთა შორის ეს იყო სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე უაზრო თავდასხმა... დრეზდენი ნანგრევებად იქცა... ნანგრევებად იქცა ჩვენი „ცვინგერიც“... ო, ეს სრულიად არ იყო აუცილებელი...

აუცილებელი?

მე ვერ ვიტყვი რაოდენ შეეფერება სიმართლეს ის, რაზეც ქვემოთ მექნება ლაპარაკი. გერმანელმა ამხანაგებმა გვიამბეს „აუცილებლობის“ შესახებ, რამაც აიძულა ინგლისელი მფრინავები ბარბაროსულად დაებომბათ დრეზდენი: თითქოს დრეზდენში ყოფილიყოს იმ ერთ-ერთი გერმანული ფირმის ქარხნები, რომელიც მსოფლიო ბაზარზე ძლიერ კონკურენციას უწევდა მონათესავე ინგლისურ ფირმას, და რომ ამ უკანასკნელის გირვანქა სტერლინგებმა, შეერთებულებმა ინგლისურსავე ბომბებთან, გააკეთეს თავიანთი საქმე...

ომის დამთავრების შემდეგ ქალაქში ბევრი, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და გადაუდებელი პრობლემა იყო, ვიდრე „ცვინგერის“ აღდგენა და მით უფრო დიდი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ დრეზდენის მცხოვრებლები საბჭოთა საოკუპაციო ხელისუფლებაზე, რომელმაც ქალაქის განთავისუფლებისთანავე გამოხატა სრული მზადყოფნა დახმარებოდა ადგილობრივ მოსახლეობას ამ ეროვნული საგანძურის აღდგენაში...

„ცვინგერს“ რომ ვტოვებდით, მთავარი ჭიშკრის კედელზე შევნიშნეთ წარწერა: „მუზეუმი შემოწმებულია. ნაღმები არ არის. ხანუტინი“.

...ჩემი ნაამბობი ძალიან გაგრძელდა, მაგრამ არ მინდა ისე დავამთავრო იგი, რომ არ მოვიგონო უკანასკნელი — გამოსათხოვარი საღამო, გატარებული გდრ-ს ტელევიზიის მუშაკთა შორის; ჩვენთვის სასიამოვნო შემთხვევითობით იგი დაემთხვა გერმანიის რესპუბლიკის რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომიტეტის თავმჯდომარის დოქტორ ეისლერის დაბადების 70 წლისთავს. წინადღეს პრესაში გამოქვეყნდა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გდრ-ს მთავრობის მილოცვა იუბილარისადმი. დოქტორი ეისლერი — ძველი კომუნისტია, აქტიური მონაწილეა ანტიფაშისტური მოძრაობისა („ალბათ არ არის ისეთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომლის ციხეშიც არ ვმჯდარიყავი“). იგი დიდი ერუდიციისა და კულტურის ადამიანია, ღრმად და ყოველმხრივ განათლებული, სასიამოვნო თანამოსაუბრეა.

იმის შესახებ, რომ დოქტორ ეისლერს 70 წელი შეუსრულდა, ჩვენ სამი დღის წინათ გავიგეთ. კარლო გარდაფხაძემ როგორღაც შენიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პროფესორს მივართმევდით სამახსოვრო საჩუქარს მისი დაბადების დღის აღსანიშნავად. ამ თემაზე მერე აღარ გვილაპარაკია.

და აი ბანკეტზე, როცა წარმოითქვა იუბილარის სადღეგრძელო, კარლომ უცებ გახსნა პატარა ფუთა და იქიდან ამოიღო მტვრის სქელი ფენით დაფარული ორი ბოთლი.

— პატივცემულო პროფესორო, — უთხრა კარლომ გერმანელ კოლეგას, — ეს ღვინო თქვენი ტოლია, ისიც 70 წლისაა. იგი გამოგზავნილია საქართველოდან, მზისა და ყურძნის ქვეყნიდან. დავლიოთ დღეს ერთი ბოთლი. მეორე ბოთლს კი სიამოვნებით გავხსნით თქვენთან ერთად იმ დღეს, როცა ამ ღვინოს ასი წელი შეუსრულდება!

ჩვენ მხოლოდ მაშინ გაგვახსენდა, რომ კარლომ გუშინწინ თბილისთან სატელეფონო კავშირი დაუკვეთა; დღეს დილით კი, მისივე თხოვნით, თვითმფრინავ მოსკოვ-ბერლინს აეროდრომზე დახვდა მოსკოვის რადიოს კორესპონდენტი ალექსანდრე ჟოვკნერი.

სასტუმროში რომ დავბრუნდით, თვითეულმა ჩვენგანმა თავის ნომერში მაგიდაზე ნახა ოქროს საათი თავის ბუდითურთ — ეს იყო პროფესორ ეისლერის საჩუქარი თავისუფალი გერმანიის მიწაზე ჩვენი ყოფნის მოსაგონებლად...

...და დადგა განშორების საათიც. აეროდრომზე ვართ... გაფორმებულია გასამგზავრებელი დოკუმენტები. წაღებულია ბარგი. გამომშვიდობების ჟამს მაღლა ვწევთ შამპანურით სავსე ჭიქებს. და უცებ ჩვენს ზურგს უკან მოისმის: „გამარჯობათ, მეგობრებო!“ ეს ვიქტორ კუპრაძე გახლავთ, ეს-ეს არის ჩამოსულა გერმანიაში ლექციების წასაკითხავად... მართლაც რომ ვიწროა ეს სამყარო!

...უკანასკნელი, რაც ჩვენ გავიგონეთ მანამდე, სანამ სტიუარდესა თვითმფრინავის კარს მოაჯახუნებდა, იყო ლიზას სიტყვები:

„სალამი საქართველოს! სალამი მთაწმინდას!“



ჩვენი ღრმა რწმენით, მომავალშიაც არა ერთი ახალი ცნობა დ დოკუმენტი შეეძინება აღნიშნული საკითხის ისტორიას.

ამჟამად ჩვენ მოგვყავს რამდენიმე ცნობა ჟან რიშარზე, რომლებისათვისაც დღემდე არ მიუქცევიათ ყურადღება. საბას შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში ისინი აღნიშნული არაა.

წინასწარ შემდეგი გადახვევა.

1714 წლიდან რუსეთის სამსახურში იმყოფებოდა შოტლანდიელი ექიმი, მედიცინის დოქტორი ჯ ო ნ ბ ე ლ ი (დაიბ. 1691 წ. გარდ. 1780 წ. შოტლანდიაში). იგი იყო პეტრე დიდის მიერ ირანში სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად და სეფევიდების სახელმწიფოს შინა პოლიტიკური მდგომარეობის დასაზვერავად მივლინებული არტემ პეტრეს-ძე ვოლინსკის (შემდეგში — ასტრახანის გუბერნატორი) პირველი ელჩობის ერთ-ერთი წევრი. ბელის მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: პეტერბურგიდან იგი გამოსულა 1715 წლის 15 ივლისს. მოსკოვიდან ჩადის ასტრახანში (1716 წ. 13 ივლისი — 5 აგვისტო), შემდეგ ზღვით აღწევს დარუბანდს (28 აგვისტოს) და ნიზაბადს (30 აგვისტოს), აქედან კი შემახიის გავლით (27 სექტ. — 4 დეკ.) მუღანშია (7 დეკ.), ხოლო თავრიზში მისული (27 დეკ.) მიემართება შიდა სპარსეთისაკენ, გაივლის მიანს, ზენჯანს, სულთანიეს, საბეს, ყუმს, ქაშანს და 1717 წ. 14 მარტს, ვოლინსკის ამალასთან ერთად, ჩადის ირანის სატახტო ქალაქ ისპაჰანში, სადაც მან 1717 წ. 1 სექტემბრამდე დაჰყო. სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნების შემდეგ ჯონ ბელი წერს თავისი „მოგზაურობის“ წიგნს, რომელიც გამოვიდა გლაზგოში 1763 წელს, ხოლო რუსული თარგმანი, ფრანგულიდან შესრულებული, დაიბეჭდა 1776 წ. ჩვენთვის საინტერესოა ამ „მოგზაურობის“ I ნაწილი, სადაც გვხვდება ცნობები 1717 წელს ირანში მისულ აბატ ჟან რიშარის შესახებ, აგრეთვე იქ მოღვაწე ევროპელებზე, კერძოდ კათოლიკე მისიონერებზე და ქართველებზე.

საერთოდ, ჯონ ბელის „მოგზაურობაში“ საყურადღებო ცნობებია დაცული არა მარტო ირანში მცხოვრებ ქართველებზე, არამედ რუსეთში (კერძოდ ვსესვიატსკოეში) მყოფ ქართველებზედაც. მაგრამ ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ჟან რიშარის პიროვნება, როგორც ის აისახა შოტლანდიელი მოგზაურის ცნობიერებაში (ვსარგებლობთ რუსული თარგმანით. ინგლისურ გამოცემას თბილისის წიგნთსაცავებში ვერ მივაკვლიეთ).

ჟან რიშარს ჯონ ბელი პირველად გაეცნო 1716 წელს. „მოგზაურობის“ დღიურში იგი ჰყვება:

«25 числа (октября, ა. გ.) обедал я с отцем Р и к а р д о м у г. Бургарда, французского купца. Сей отец был многие годы Веропроповедником в разных Персидских уездах; он был научен медицине, которую и отправлял при случае, что ему приобрело знакомство со многими знатными домами. Сей человек, будучи изрядного поведения, почитаем был вообще ото всех людей. Всем месте управлял он небольшое собрание Армян, преклонным им к повинению Папе: ибо за уголовное поставляется преступление обращать Мухамеданца». (Белевы путешествия... 57-58)

როგორც ვხედავთ, ჯონ ბელი სიმპათიურადაა დამოკიდებული ჟან რიშარისადმი («Сей человек, будучи изрядного поведения»...), რომელიც საბას თან ახლდა 1714 წელს ევროპაში.

ბელის მოგზაურობა აგრეთვე ბევრი სხვა ეპიზოდებითაა მდიდარი. ჩინებულია სეფიანთა ქალაქების დახასიათებანი (ამ მხრივ მისი „მოგზაურობა“ მხოლოდ ოლეარიუსისა და შარდენის აღწერებს თუ დაუვარდება), ქარავანსარაების და ზნე-ჩვეულებათა მიმოხილვა და სხვ. როგორც უკვე ავღნიშნეთ, ესაა ხანა, როცა ირანის იმპერიას სულელი შაჰი სულთან-ჰუსეინი მართავს. საინტერესოა ბელის ცნობა აგრეთვე იმის შესახებ, რომ თავრიზში კათოლიკე კაპუცინებს თავისი მონასტერი ჰქონიათ (გვ. 76). „მოგზაურობის“ სწორედ ამ ადგილასაა აღნიშნული შემდეგი:

«Января 2 числа, 1717 года, отец Р и к а р д, Езувит французский, прибыл в Таврис. Он ехал в Испаган с некоторыми препоручительными письмами от Римского Двора к Софи (იგულისხმება შაჰი სულთან-ჰუსეინი, სეფიანთა დინასტიის უკანასკნელი მეფე. გ. ა.) Прислал он г. Дуфа который с ним сопутетствовал, с поздравлением от себя к Посланнику» (76).

თუ რა შინაარსის იყო რომის პაპის წერილები შაჰისადმი — ამჟამად არაა ცნობილი. ერთი კი აშკარა უნდა იყოს: ვატიკანის მეთაური ალბათ სთხოვდა შაჰს მფარველობა გაეწია მას ირანში მოღვაწე კათოლიკებისათვის. ყოველ შემთხვევაში, პაპის წერილებში ვახტანგ VI-ის შესახებ არაფერი არ უნდა ყოფილიყო ნათქვამი, რადგან კლემენტი XI-ის „სრულ თხზულებებში“ (ფრანკფურტი, 1729), რომლებიც პაპის წერილების ღედნებს (თუ ასლებს) შეიცავენ, ვახტანგის საქმის გამო სპეციალური წერილი შაჰისადმი არ მოიპოვება (თუმცა კლემენტი XI-ის ბარათებს უფრო გულდასმით უნდა შესწავლა); ამასთან რომის პაპმა უეჭველია უკვე იცოდა, რომ ვახტანგ VI-ემ 1716 წელს ისპაჰანში ოფიციალურად მიიღო მაჰმადიანობა და მასთან ირანის ჯარების სპარსალარის პოსტიც. თანაც ვახტანგს ქართლის მეფობაც დაუბრუნეს (მართალია, საქართველოში ის 1719 წლამდე არ ჩამოსულა, მაგრამ მის ძმას მაჰმადიან მეფე იესეს სწორედ 1716 წელს ჩამოართვეს ქართლის სამეფო ტახტი. ამიტომაც 1716-1719 წლებში ქართლს დროებით განაგებდა ვახტანგის მეორე ძმა — სვიმონი).

ვრცლად მოგვითხრობს ჯ. ბელი ისპაჰანში ელჩების შესვლისა და თვითონ სატახტო ქალაქის შესახებ. საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს სამეფო სასახლის, ჩეჰილ სუთუნში შაჰის მიერ ვოლინსკის მიღების, სხვადასხვა ცერემონიებისა და სადილების აღწერას (გვ. 87-115). აღსანიშნავია ერთი ეპიზოდი: როცა არტემ ვოლინსკი თავის სიგელს აბარებს შაჰს, საბუთს მას წინასწარ ჩამოართმევს პირველი ვეზირი ანუ „ეთიმადოუვლე“ და თვითონ გადასცემს ყაენს, რომელიც მხოლოდ ხელით შეეხება საბუთს (გვ. 92). ჯ. ბელი ასახელებს ვეზირის ნამდვილ სახელს: ეს იყო ფ ა თ ა ლ ი ხ ა ნ ი, რომელიც შოტლანდიელ ექიმ-მოგზაურს წარმოშობით ქართველი ჰგონია (გვ. 96). ნამდვილად კი იგი იყო სუნიტი ლეკი (სეფევიდები შიიტები იყვნენ), ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი გიორგი XI-ის დაღუპვისა ყანდაარში 1709 წელს. ვეზირის „საძაგელი შესახედაობაც“ აქვს აღნიშნული ჯ. ბელის (დაწვრ. იხ. ჩვენი „მასალა ვახტანგ VI ბიოგრაფიისათვის“).

დამატებით აღვნიშნავთ აქვე, რომ ვერაგ ფათალიხანს თვითონ ყაენმა დათხარა თვალები 1720 თუ 1721 წლებში (სეხნია ჩხეიძე, დ. გურამიშვილი... ოღონდ ამ უკანასკნელმა არ იცის „ეთიმადოუვლეს“ ნამდვილი სახელი, ხოლო სულთან-ჰუსეინის ნაცვლად ირანის შაჰად ასახელებს ავღანელების მიერ 1722 წელს ისპაჰანიდან გაქცეულ შაჰის ფიქტიურ მემკვიდრეს — თახმასს).

მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენს თემას.

ჯ. ბელის თხრობიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟან რიშარი ვოლინსკის ამალას გაჰყოლია თავრიზიდან ისპაჰანში, თუმცა ამის შესახებ „მოგზაურობაში“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი. სეფიანთა დედაქალაქში ყოფნისას, ჯ. ბელს თავის დღიურში 1717 წლის 16 ივნისის თარიღით აღნიშნული აქვს (გვ. 101):

«16 числа посланник (იგულ. ა. ვოლინსკი. ა. გ.) просил к себе кушать г. Р и к а р д а, о котором упоминал я выше сего в главе о Т а в р и с е и двенадцати других Веропроповедников разных орденов. Как многие из них жили долго в Индиях и в Ефиопии, то разговоры их безмерно были увеселительны».

როგორც ვთქვით, ჯ. ბელი ისპაჰანიდან გამოდის 1717 წ. 1 სექტემბერს (გვ. 115) და შემახიაში ჩადის 12 დეკემბერს (გვ. 128). „მოგზაურობის“ იმ ადგილას, სადაც 15 დეკემბრის ამბებია აღნიშნული, სხვათა შორის ნათქვამია:

«В сей самый день посетил меня от (ец) Бакоид, оставшийся один в сей стране Веропроповедником, по кончине товарища своего от (ца) Р и к а р д а, умершаго от заразы (124).

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის მომავალმა ბიოგრაფმა ამიერიდან იცის, რომ 1717 წელს ევროპიდან სპარსეთში დაბრუნებული ჟან რიშარი („მუსუ რიშარი“ — საბას გამოთქმით), რომელიც ბევრს (მაგრამ ამაოდ) ეცადა ქართველ დესპანთან ერთად ვახტანგ VI-ისათვის 1714 წელს საფრანგეთის სამეფო კარზე და რომის პაპთან — გარდაცვლილა ირანში 1717 წლის 16 ივნის — 1 სექტემბრის შუა რიცხვებში რაღაც ეპიდემიური სენისაგან.

ასეთი იყო ამ კეთილშობილი მისიონერის ცხოვრების დასასრული.

# უჩა ჯაფარიძე





ახალგაზრდა იმერელი



საყვედური

საბჭოთა სახვითი ხელოვნების უბრწყინვალეს ოსტატს, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს დაბადების 60 წლისთავი შეუსრულდა. განვლილი ათეული წლების მანძილზე მის ტილოებზე აისახა ჩვენი ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა; უჩა ჯაფარიძე ეკუთვნის დიდოსტატთა იმ პლეადას, რომელთა სახელები ამშვენებს ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვან ის-ტორიას.

ჟურნალ „დროშის" რედაქცია ულოცავს უჩა ჯაფარიძეს დაბადების სამოცი წლისთავს და უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრ-თელობას საბჭოთა ხალხისა და საბჭოთა კულტურის საკეთილდღეოდ.

ხევსური გოგონები



კოლმეურნე ქალი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემი სვანეთი



კალოზე



ღიმილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა ღრუბლებში მიდის



დედას რა გამოულევს საფიქრალს...



კოშკები, კოშკები...



ამოდის, ნათდება...

ფოტონარკვევი
ვახტანგ ჩხუმიანისა

კლდეების ჩრდილში



პატარა სვანები



უშგული, თამარის კოშკი





ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დათვი

**უილიამ ფოლკნერი** მოთხრობა

ნახატი თ. სამსონაძისა.



ბიჭი ათი წლისა იყო. მაგრამ ყველაფერი დაიწყო დიდი ხნის წინათ, როცა ბიჭს ჯერ კიდევ არ ენახა ბანაკი, სადაც მამამისი, მაიორ დე სპეინთან. მოხუც გენერალ კომპსონთან და სხვა მონადირეებთან ერთად, ორ-ორ კვირას ატარებდა ყოველი წლის ივნისსა და ნოემბერში. და იმ ვეება, მახეში ტორმონატეხ დათვსაც, მთელს ამ არემარეში კაცივით რომ ჰქონდა სახელი შერქმეული, ბიჭი იცნობდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე თვალით ნახავდა.

მართალია, ბიჭს დათვი ჯერ კიდევ არ ენახა, მაგრამ ძალზე ცხადად ჰყავდა წარმოდგენილი. მის სიზმრებში — როცა გაუვალ და ულრან ტყეებზე მხოლოდ ოცნებობდა — დააბოტებდა და კვალს ტოვებდა თვალებდაწითლებული, უზარმაზარი, ბანჯგვლიანი დათვი, ბოროტი კი არა, მარტოოდენ უზარმაზარი, იმდენად ღონიერი, რომ ძაღლები ვერ დაქანცავდნენ, ცხენები ვერ დაეწეოდნენ, ადამიანები ტყვიით ვერ მოკლავდნენ; ისეთი დიდი, რომ თვალუწვდენი ტყეებიც კი ევიწროებოდა.

ერთხელ ბიჭს ძაღლების ყეფა შემოესმა. ბანაკში მისი პირველი ჩამოსვლიდან კვირაზე მეტი გავიდა. ცხრა დღე, ყოველ გარიჟრაჟზე, ის და სემ ფავერზი დიდ მუხას აეკრობოდნენ, სადაც მქრქალი სინათლის ზოლი ანათებდა ხეებს, და ძაღლების ყეფას ელოდნენ. გასულ კვირას ბიჭმა მხოლოდ ერთხელ მოჰკრა ყური ძაღლების გნიასს, რომელმაც გაურკვეველ და ბუნდოვან ექოდ რამდენჯერმე გადაურბინა სველ ტყეს და ცალკეულ ხმებად დაიშალა; მაშინ იმასაც კი მიხვდნენ, რომელი ძაღლი ყეფდა.

ბიჭმა თოფი აიღო, ფეხზე შეაყენა, სემი რომ ასწავლიდა ისე, და გაირინდა, ცდილობდა კარგად გაეგონა ეს ღრიანცელი, არ გამოპარვოდა მთელი ამ დევნისა და აურ-ზაურის არც ერთი უხილავი ხმა, დროდადრო ხან რომ უახლოვდებოდა, ხან შორდებოდა, ხან კი სულაც იკარგებოდა. მოეჩვენა, თითქოს თვალი მოჰკრა, როგორ გაიელვა და გაქრა მტრისაგან თავდასაღწევად ჰაერში კამარაშეკრული ღია კვამლისფერი ირემი, თითქოს ნაცრისფერ დუმილში გახვეული და ძაღლის მიმწუდარი ყეფით შეშფოთებული ეს უკიდეგანო ტყეც დაინახა.

— დაუშვი ჩახმახი, — უთხრა სემმა.

— ხომ იცოდი, აქეთ რომ არ წამოვიდოდნენ...

— ვიცოდი. მე მინდა აგიხსნა, როგორ უნდა მოიქცე, თუ ვერ მოასწარი გასროლა. კაცსა და ძაღლს ტყვია სწორედ მაშინ ხვდება, როცა დათვი ან ირემი უკვე თვალს მიეფარება.

— ასეა თუ ისე, — თავისთვის ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ეს მხოლოდ ირემი იყო.

მეათე დღეს ისევ გაიგონა ძაღლების ყეფა და როგორც სემმა ასწავლა, მაშინვე, შეუხსენებლად გატენა მისი ასაკის ბავშვისათვის მეტისმეტად გრძელი და მძიმე თოფი. ამჯერად, ცხადია, ირემი აღარსად იყო. ეს ხმა აღარ ჰგავდა კვალს აღევნებული ძაღლების აღგზნებულ გნიასს. ისმოდა მხოლოდ ხმაჩახლეჩილი, გამკივანი წკავწკავი. ეს უბრალო გაუბედაობის ან შიშის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ხმაური ძალზე ნელა იცვლიდა ადგილს და ვიდრე მთლად მიწყდებოდა, კარგა ხანი გავიდა. მაგრამ სუსტი, ოდნავ ისტერიული, დამცირებული და ნაწამები ხმების ექო ახლაც ჰაერში დარჩა; ამჯერად ირმის მიწაზე გართხმულ კვამლისფერ ჩრდილზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. და სემი. ბიჭს ჯერ ჩახმახის ფეხზე შეყენებას, მერე მოხერხებულად დადგომას და ადგილზე გაქვავებას რომ ასწავლიდა, რათა ირგვლივ ყველაფერი კარგად დაენახა, თვითონვე აფორიაქდა. ბიჭს გარკვევით ესმოდა სემის სუნთქვა და მის გაფართოებულ, დაბერილ ნესტოებს ხედავდა.

— ჰმ, — თქვა სემმა, — არც კი მირბის... მიდის.

— ბებერი ბენი! — მიხვდა ბიჭი, — აქ, აქ მოვიდა! — წამოიძახა მან.

— მუდამ ასე იქცევა, — აუხსნა სემმა, — მაგრამ წელიწადში მხოლოდ ერთხელ, იქნებ იმიტომ. რომ ნახოს, ვინ არის ახლა ბანაკში და იცის თუ არა სროლა, ან გვყავს თუ არა ძაღლი, რომელიც არაქათს გამოაცლის და გაქცევას არ დაანებებს. ახლა ძაღლებს მდინარემდე ჩაიყვანს და უკანვე დაიფრენს. შეგვიძლია წყნარად დავბრუნდეთ შინ. ძაღლებიც მოვლენ და კარგად დაათვალიერე ყველანი.

ათი მეძებარი უკვე ბანაკში დახვდათ, სამზარეულოსთან მოგროვილიყვნენ და წკავწკავებდნენ. ორივემ ჩაიმუხლა. დიდხანს ათვალიერებდნენ სიბნელეში უხმოდ მოფუთფუთე ძაღლებს, რომელთაც თვალები ხან გაუბრწყინდებოდათ, ხან ჩაუქრებოდათ, მაგრამ ხმას არც ერთი არ იღებდა. რაღაც მძიმე, მძაფრი სუნი ასდიოდათ. ეს არ იყო ნადირის სუნი. ძაღლებმა მხოლოდ ულრანი ტყეების დუმილი გაიგდეს წინ და იქაურობა საცოდავი წკავწკავით გააყრუეს.

ნაშუადღევს ბანაკში მეთერთმეტე ძაღლიც დაბრუნდა. ყველანი შეგროვდნენ, მოხუცი ძია ეშიც კი, რომელმაც ბანაკში ჩამოსვლისთანავე მზარეულობა ითავა. სულგანაბული უყურებდნენ, როგორ უსვამდა სემი ძაღლს დაფლეთილ ყურსა და ღრმად დაკაწრულ მხრებზე სკიპიდარში გარეულ ურმის საცხს. ბიჭს დათვი ჯერ კიდევ არ მიაჩნდა ცოცხალ არსებად. ის იყო მხოლოდ განსახიერება ულრანი ტყეებისა, წამიერად რომ დაიხარნენ და მსუბუქად წაარტყეს თავში ძაღლის უჭკუობას.

ზამთრის იმავე მოკლე დღეს ის და სემი მთელი სამი საათი დადიოდნენ ტყეში. ბიჭი ცალთვალა ჯორზე იჯდა. ამ ჯორს, ჩვეულებრივ, ფორანში აბამდნენ. ჯორი ვერ გრძნობდა ვერც სისხლისა და, როგორც ბიჭს უთხრეს, ვერც დათვის სუნს. სემი მეორე ჯორით მოდიოდა. წინ არავითარი კვალი არ ჩანდა. სრულიად უგზოდ იარეს და სულ მალე მიაღწიეს ადგილს, სადაც ბიჭი არასოდეს ყოფილა. ის ახლაღა მიხვდა, თუ რატომ შესვა სემმა წყნარსა და თვინიერ, ყველაფრისადმი გულგრილ ჯორზე. სემის ჯორი წამდაუწუმ და ერთბაშად ჩერდებოდა, ყალყზე დგებოდა და მაშინაც კი ტლინკებს ყრიდა, როცა სემი უკვე ჩამოხტებოდა. მძიმედ სუნთქავდა, თრთოდა, სემს ხელიდან აღვირს გლეჯდა. მოხუცი უყვავებდა. წინ ექაჩებოდა, ჯორის დაბმა და დატოვება საშიში იყო. ბიჭი კი მშვიდად ჩამოვიდა თავისი დაჩაჩანაკებული ჯორიდან.

და შემდეგ, როცა სემის გვერდით, მწუხრში იდგა, ის დაჰყურებდა ბრჭყალებისაგან მთლიანად დაღარულსა და დასერილ, მიწაზე წაქცეულ ფუტურო მორს. მორის გვერდით, სველ მიწაზე დათვის უზარმაზარი, დასახიჩრებული ტორის ანაბეჭდი იყო. ახლა ბიჭმა იცოდა, რისი სუნი იდგა მაშინ, როცა გაფაციცებით ადევნებდა თვალს სამზარეულოს უკან, სიბნელეში შეგროვილ ძაღლებს. ახლაღა მიხვდა, რომ დათვი, რომელზეც ამდენი რამ გაეგონა და რომელიც ბუნდოვნად იხატებოდა მის სიზმრებში, რაც კი თავი ახსოვდა, ის დათვი, რომელიც მამისთვისაც, მაიორ დე სპენისთვისაც და თვით მოხუც გენერალ კომპსონისთვისაც ზუსტად ასე მხოლოდ სიზმრებსა და ლეგენდებში არსებობდა, — უბრალო ნადირი იყო, სულით ხორცამდე. და თუ ყოველ ნოემბერს ბანაკში მიდიოდნენ, მაგრამ ნადავლით უკან დაბრუნების იმედი არ ჰქონდათ, არა იმიტომ, რომ დათვი უკვდავი იყო, — მისი მოკვლა დანამდვილებით დღემდე არ გადაეწყვიტათ.

— ხვალ მაინც გადავეყრებით! — თქვა ბიჭმა.

— რატომაც არა, ხვალაც შეიძლება, — დაეთანხმა სემი, — სულერთია, ძაღლი მაინც არა გვყავს.

— ძაღლი თერთმეტი გვყავს. აკი მოსდევდნენ ამ დილით.

— საჭიროა კი მხოლოდ ერთი, — უპასუხა სემმა. — ის აქ არ არის. იქნებ ვერც ვერასოდეს ვიპოვოთ, თუ შემთხვევით არ დაეტაკა თოფიან კაცს.

— ეს კაცი, ნამდვილად ვიცი, მე არ ვიქნები,— ნაღვლიანად ჩაილაპარაკა ბიჭმა, — ის ალბათ უოლტერი იქნება, ან მაიორი, ან...

— ყველაფერი მოსალოდნელია, — დააწყნარა სემმა, — დილით ყურადღებით იყავი. ის ხომ ძა-

სოფელი გლოლა, ნახატი უჩა ჯაფარიძისა

ლიან ჭკვიანია, ამიტომაც იცოცხლა ასე დიდხანს. თუ ალყაში მოიქციეს და იძულებული გახდა ვინმე აირჩიოს და დაეცეს, შენზე წამოვა.

— მაგრამ როგორ, როგორ მიხვდება? — ბიჭს ენა დაება. — შენ გგონია უკვე მიცნობს? იცის, რომ არასოდეს აქ არ ვყოფილვარ და ვერ მოვასწარი დავკვირვებოდი... — ისევ შეჩერდა, მოხუც სემს შეხედა, მაგრამ მის სახეზე ვერაფერი ამოიკითხა, სანამ არ გაეღიმა და მაშინ ბიჭმა მშვიდად, ყოველგვარი გაკვირვების გარეშე თქვა:

— ესე იგი, მე მითვალთვალებდა. ჩემი აზრით, მეორედ აქ მოსვლა აღარ დაჭირდება.

მეორე დილით, გათენებამდე სამი საათით ადრე გავიდნენ ბანაკიდან, წინ გრძელი გზა ჰქონდათ და ყველანი, მონადირეებიცა და ძაღლებიც, ფორანში ისხდნენ. მზის პირველი სხივი ბიჭს ისევ იმ ადგილებში შეხვდა, სადაც პირველად, პატარა გუბურის ნაპირზე, ხელში შეუფერებლად დიდი, მაიორ დე ხპეინის თოფი ეჭირა, სროლითაც კი მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ნასროლი. მაშინაც ჭირკს უმიზნებდა, — უკუცემა უნდა გაეგო და ხელახლა გატენა ესწავლა. შავ, უძრავ წყალზე ლელიანიდან ჭავლი გარბოდა ქვევით და ისევ უკან, ლერწმებში ბრუნდებოდა. თვალისთვის უჩინარი კოდალა, ზანგები რომ „ღვთის ჩიტს“ ეძახიან, ხმელ ტოტს უკაკუნებდა. აქაურობა ტყის ყველა სხვა ადგილს ჰგავდა. მხოლოდ ოდნავ განსხვავდებოდა იმ ადგილებისაგან, სადაც მან ზედიზედ ათი გარიჟრაჟი გაატარა, იქაურობას იგი უკვე ნაცნობად თვლიდა. აქაც იგივე უდაბურობა და ისეთი სიჩუმე იყო. კაცი აქ შეუმჩნევლად გაივლიდა, არაფერს არ შეცვლიდა, არც კვალს დატოვებდა. მაგრამ მხოლოდ იქ, სამზარეულოსთან ჩაჩოქილმა იგრძნო მწევრების სუნი. იქ დაინახა, როგორ იყვნენ შიშისაგან ერთმანეთზე მიხორხლილნი და აწურულნი, ნახა იმ ძაღლის დაფლეთილი ყური და მხარი, რომელზეც სემმა თქვა, ერთხელ ესეც მოერია შიშს, ერთხელ ესეც გამამაცდა, რათა სიცოცხლე შეენარჩუნებინაო. აქ კი არა, იქ, ფუტურო მორის გვერდით ათვალიერებდა გუშინ თათის ნამდვილ ანაბეჭდს.

ამჯერად ძაღლების ხმა სულ არ ესმოდა, არც ერთი შეღრენა, არც ერთი ყეფა. მხოლოდ ის გაიგონა, რომ ერთბაშად შეწყდა კოდალას კაკუნი და მიხვდა, — დათვი მას უყურებდა. ისიც კი არ იცოდა, წინ იყო თუ უკან. ბიჭი გაუნძრევლად იდგა და უკვე უსარგებლო თოფს ბღუჯავდა. ჩახმახის ფეხზე შეყენება დაავიწყდა და არც ახლა აპირებდა გამართვას, პირში სპილენძის მწლატე გემოს გრძნობდა, როგორც მაშინ, სამზარეულოსთან მოგროვილ ძაღლებს რომ უყურებდა.

მერე დათვი წავიდა. ისევ ერთბაშად გაისმა კოდალას მშრალი, მონოტონური კაკუნი. მალე ბიჭს მოეჩვენა, რომ ყეფის ხმაც ესმოდა: ძლივს გასაგონი, დაგუდული ღრიანცელი, რომელსაც, ეტყობა, თვითონაც ვერ ამჩნევდა, კარგა ხანია ჰაერში იდგა. ძაღლები არ ახლოვდებოდნენ. თუ ისინი მაინც დათვს მიხდევდნენ, ის დათვი უთუოდ სხვა იყო. ლერწმიანიდან სემი გამოჩნდა და გუბურაზე გადმოიარა. უკან დაჭრილი მწევარი მოსდევდა და ოთახის ძაღლივით ფეხებში ებლანდებოდა. ხმას არ იღებდა. ძაღლმა ბიჭთან მიირბინა და ზედ აეკრა. კანკალებდა და დაძაბული იყურებოდა ლელიანისაკენ.

— ვერ დავინახე, სემ, — თქვა ბიჭმა, — ვერ დავინახე!

— ვიცი, — უპასუხა სემმა, — თვითონ გიყურებდა. შენ მისი ხმაც არ გაგიგონია?

— არა. მე...

— ჭკვიანია, ძალიან ჭკვიანი, — თქვა სემმა და ძაღლს შეხედა. ძაღლი ისევ კანკალებდა და მუხლებზე ეკვროდა ბიჭს. განაკაწრი მხრიდან ორიოდე წვეთ სისხლს გამოეჟონა და იქვე შემხმარიყო.

— ჰო... ძალიან დიდია. თან შესაფერი ძაღლიც არა გვყავს. არა უშავს. სხვა დროს იყოს. გაიხადაც არაა აუცილებელი. მაგრამ ოდესმე...

„უნდა ვნახო, — ფიქრობდა ბიჭი, — უნდა შევხედო“. ეგონა, ვერ ნახავდა, ყველაფერი ძველებურად დარჩებოდა, გაიხადაც და კიდევ მრავალგზის. ეჩვენებოდა, რომ ერთად დაინახა თავისი თავიცა და დათვიც, ეს იყო გაურკვეველი, უცხო უფსკრულებში გარინდებული ფიგურები, საიდანაც ამოდიოდა და მწიფდებოდა დრო: დაინახა ბებერი, უკვდავი დათვი და თავისი თავი, დათვის უკვდავებას რომ ეზიარა, ამ ზიარების წყალობით რომ უკვდავება იგემა, — მართალია მცირე, მაგრამ ზუსტად იმდენი, რამდენიც სჭირდებოდა. ახლა იცოდა რისი სუნი მოდიოდა სამზარეულოსთან შეგროვებული ძაღლებიდან, იცოდა რის გემოს გრძნობდა თვითონ, ეს იყო შიში. „აუცილებლად უნდა ვნახო. უნდა შევხედო!“ შიშმა კი მთლიანად გაუარა, მაგრამ იმედიც გადაეწურა. ეს მოხდა მომდევნო წლის ივნისში. ბიჭი მაშინ უკვე თერთმეტი წლისა იყო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

თარგმნა ნოდარ ჩხეიძემ.



# რა არის პილოროსტენოზი

დაიბადა ბავშვი... მშობლების სიხარულს საზღვარი არა აქვს, თავს ევლებიან პატარას, ცივ ნიავს არ აკარებენ. მაგრამ გადის დრო და ბავშვი სულ უფრო უგუნებოდ არის, თანდათან ხდება: რასაც ჭამს, არ ერგება, აღებინებს. მოჰყავთ ექიმი. „ან სასწრაფო ოპერაცია, ან ბავშვი ხელიდან გამოგეცლებათ“, — ასეთია მისი დასკვნა.

რა მოხდა? რით გახდა ბავში ავად?

კუჭის ნაწილობრივი ან სრული გაუვალობით. ანუ, როგორც ამას მედიცინაში უწოდებენ, პილოროსტენოზით. იგი მეტად მძიმე დაავადებად ითვლება. ქირურგიული ჩარევის გარეშე ეს ავადმყოფობა ბავშვთა ძალზე დიდ სიკვდილიანობას იწვევს. მისი ადრეული გამოვლინება და დროულად ჩატარებული ოპერაცია კი სწრაფად ჰკურნავს და აჯანმრთელებს ბავშვს. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ფართო მასებში პილოროსტენოზის კლინიკური მიმდინარეობისა და მისი მკურნალობის საკითხების გაცნობას.

რა ნიშნებით ხასიათდება პილოროსტენოზი?

ახლად დაბადებულ კარგი წონის ბავშვს მეორე-მეოთხე კვირაზე, თითქმის ყოველი კვების შემდეგ, ეწყება პირის ღებინება შადრევანივით; ამონაღები წარმოადგენს აჭრილ რძეს და აქვს მჟავე სუნი, ბავშვი თანდათანობით იკლებს წონაში, რადგან საკვებს ვერ ითვისებს, აღენიშნება ყაბზობა და შარდის გამოყოფის შემცირება (5-6-დე დღე-ღამეში). ბავშვი განაგრძობს სიცოცხლეს მხოლოდ საკუთარი ორგანიზმის ხარჯზე. კანი მშრალი და უხეში უხდება, კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი ელევა, შუბლზე უჩნდება განივი ნაოჭები და სახე იღებს მოხუცებულის გამომეტყველებას. მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, ბავშვი მუდმივად თხოულობს ძუძუს, სწოვს აქტიურად, მაგრამ დედას ხშირად ეშინია ძუძუს მიცემა შადრევანისებური პირის ღებინების გამო. სამი, ოთხი ან ხუთი თვის ასაკში ბავშვი საბოლოოდ იფიტება, მივარდნილი არის ძილად, უძლურდება და იღუპება.

დაავადების ასეთი ტიპიური დაწყება და მიმდინარეობა უმრავლეს შემთხვევაში იძლევა სწორი დიაგნოზის დადგენის საშუალებას, მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამოცდილ ქირურგსაც უჭირს პილოროსტენოზის პილოროსპაზმისაგან გარჩევა. პილოროსტენოზისაგან განსხვავებით, პილოროსპაზმის დროს, ახალშობილს, დაბადების პირველ დღეებიდანვე, ეწყება პირის ღებინება წამოქაფებით და არა შადრევანივით. მიუხედავად ღებინებისა, ბავშვი მაინც მატულობს წონაში, მაშინ როდესაც პილოროსტენოზის დროს ავადმყოფის წონა ხშირად იკლებს. პილოროსპაზმით დაავადებულ ბავშვებს არ აღენიშნებათ ყაბზობა და შარდის გამოყოფის შემცირება, ამ ორი დაავადების ერთმანეთისაგან გარჩევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პილოროსტენოზის რაციონალური მკურნალობის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დროულ ოპერაციას. რაც მეტად მარტივია და ნაკლებად ტრავმატული.

საბჭოთა კავშირში პირველად პილოროსტენოზის ოპერაცია გააკეთა გამოჩენილმა ქირურგმა-პედიატრმა პროფ. ტ. კრასნობაევმა 1923 წელს, საქართველოში კი პროფ. მ. კოკოჩაშვილმა 1957 წელს. თუ 1961 წლამდე საქართველოში პილოროსტენოზის გამო გაკეთებული იყო მხოლოდ ერთეული ოპერაციები, 1962 წლიდან ოპერაციათა რიცხვმა საგრძნობლად მოიმატა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ამ დაავადების უფრო ხშირი გამოვლინებით შეიძლება აიხსნას. მარტო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქირურგიულ განყოფილებაში (ხელმძღვანელი მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ხარბედია) ქალაქის II ბავშვთა საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების ბაზაზე (განყოფილების გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ა. აბაშიძე) 1962-66 წლების მანძილზე, თანდაყოლილი პილოროსტენოზის გამო ოპერირებულ იქნა 22 ავადმყოფი, 20 ბიჭი და 2 გოგო. ამ ავადმყოფობასთან ბრძოლა უფრო ინტენსიური გახდა მომდევნო წლებში. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ პედიატრები ახლა უფრო ხშირად მიმართავენ კონსულტაციისათვის ქირურგებს. ამჟამად დროზე ოპერირებულ ავადმყოფთაგან დიდი უმრავლესობა თავს კარგად გრძნობს.

პილოროსტენოზით დაავადებას ლოდინი არ უყვარს. ბავშვები საჩქაროდ უნდა იქნენ მიყვანილნი ქირურგთან ოპერაციული მკურნალობის ჩასატარებლად, მაშინ ამ ავადმყოფობით გამოწვეული სიკვდილიანობაც საგრძნობლად შემცირდება.

ა. სიმონიშვილი
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



# დუტუ მეგრელი

1957 წელს მწერალმა-ჟურნალისტმა ალ. სიგუამ თხოვნით მიმართა გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შალვა დადიანს გამოეთქვა თავისი აზრი დუტუ მეგრელის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. დუტუ მეგრელის დაბადებიდან 100 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით ვაქვეყნებთ შალვა დადიანის პასუხს.

ამხ. საშა! თქვენ გნებავთ ჩემგან გაიგოთ, თუ რა მახსოვს მე მწერალ დუტუ მეგრელის ცხოვრებიდან.

გისრულებთ სურვილს, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მას ბავშვობიდან ვიცნობდი, ძალიან ცოტა რამ მაქვს გასახსენებელი.

ბავშვობიდან კი მას ვიცნობდი იმიტომ, რომ ის იზრდებოდა ჩვენს ოჯახში. ბებია ჩემის, მარიამ აბაშიძის ნათლული იყო დედა დუტუსი, გაგუას ქალი დედუ, თომა ხოშტარიას მეუღლე, მაგრამ ადრე იყო დაქვრივებული, თან ნივთიერად მეტად დიდ სივიწროვეს განიცდიდა და ამისათვის, მამაჩემის თანხმობით, ორივე დედაშვილი ჩვენთან იყვნენ შემოხიზნულნი. მამაჩემი ხომ, თავის დროზე ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნიკო დადიანი, დიდი მფარველი იყო ახალგაზრდა ქართველი მოსწავლეების, მას მრავალი მათგანი ალუზრდია თავის ხარჯით და უმაღლეს სასწავლებელშიაც შეუყვანია. თან ზოგიერთ მათგანს თვითონ შეივრდომებდა და აცხოვრებდა თავის ოჯახში.

ასე იყო ხსენებული დედა-შვილის საქმეც: დედუ გაგუა-ხოშტარიასი და მისი ერთადერთი ვაჟის, დიმიტრი ხოშტარიასი, რომელიც შემდეგში ჩვენში ცნობილი შეიქმნა დუტუ მეგრელის სახელით.

ჩემსობას მაინცდამაინც დიდხანს არ დარჩენილა პატარა დიმიტრი ჩვენს ოჯახში, იგი მალე მიღებულ იქნა ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში სასწავლებლად და მოთავსდა ამ სასწავლებლის პანსიონში, სადაც დაჰყო გიმნაზიის დასრულებამდე, შემდეგ კი გაემგზავრა ოდესას და იქ ჩაირიცხა ესრეთ წოდებულს ნოვოროსიის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

ასე რომ, მისი ბავშვობისა ბევრი არა ვიცი რა. ვიცი, რომ იყო ცოცხალი ყმაწვილი, მოძრავი და სხვები ამბობდნენ, რომ ნიჭიერიაო.

1888 წელს მე 14 წლის ვიყავი, რომ სამეგრელოში, ს. ბერთემს ჩვენი ოჯახის სამემკვიდრო სოფელში გვეწვია დიმიტრი უკვე სტუდენტის ფორმაში, რომელიც იმ დროს ახლადშემოღებული იყო რუსეთის უნივერსიტეტში, უკვე დაჭაბუკებული, წვერ-ულვაშიანი საუცხოვო ვაჟკაცი, სახით დიდ სილამაზეს ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ მთელ მის აღნაგობას ეტყობოდა, ილიასი არ იყოს, რომ „დიდი ღმერთის საკურთხევლის უღვიოდა ცეცხლი გულში“ და ამიტომ მომხიბვლელ პიროვნებად მოჩანდა.

მახსოვს, რომ თან ჩამოიტანა მისი პირველი საუცხოვო მოთხრობა „საცოდავნი“, წაუკითხა მამაჩემს და მამამაც მოუწონა.

ეს მოთხრობა იმითი არის შესამჩნევი, რომ ჯერ ერთი დიდის რეალობით აღწერილია სამეგრელოს იმ დროის ცხოვრება ნაწილობრივ და მთავარი კი ის არის, რომ სანამ ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“ გახმაურდებოდა, მანამ ამ მოთხრობაში იყო გამოყვანილი ქრისტინეს ბედისთანა მეგრელი გლეხის ქალი, ეგრევე მოტყუებული რომელიღაც ბობოლასაგან და შემდეგ თბილისის საროსკიპოში მოხვედრილი.

ნინოშვილი იმ დროს არც კი იყო ჯერ გამოსული სამწერლო ასპარეზზე, ასე რომ პრიორიტეტი დუტუ მეგრელს ეკუთვნის ესეთი ტიპის დახატვისათვის ჩვენს მხატვრულ პროზაში, თუ არ ვიანგარიშებთ ილიას „გლახის ნაამბობში“ გამოყვანილ თამრიკოს.

ცხადია, ნინოშვილს ამით თავისი ღირსება არ აკლდება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ამ მხრივ პირველობა დუტუ მეგრელს დაეთმოს.

ამის შემდეგ ის თანდათანობით ათავსებდა პატარა მოთხრობებს ჩვენს პრესაში. აქვს მოზრდილი მოთხრობაც, როგორც, მაგ. „პირველი ტალღა“. მაშინდელ ინტელიგენციის ცხოვრებიდან და მრავალი სხვა.

მე ვარ მოწამე, რომ ის ძალიან ჩქარა წერდა თავის ნაწარმოებებს. მაგ. ჩვენს ოჯახში აქვს დაწერილი რაღაც ორ დღეში მოთხრობა „გოგია და ქანა“, „კოწია ჯავარიშვილი“ და სხვ.

წერდა აგრეთვე საბავშვო მოთხრობებს, რომელთა შორის „ქინაქინას“ მგონი დღესაც კითხულობენ ჩვენი ბავშვები სხვადასხვა ქრესტომათიებში.

ჩქარა წერდაო რომ ვამბობ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ის მხუბუქად ეპყრობოდა თავის ნაწარმოებებს, არამედ მას ჰქონდა ეტყობა, თავის თავში მოგროვილი, მისი მხატვრული თვალით გამოჭერილი ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდები და ტიპები, მოზლვავებული ჰქონდა და ეს არ უშლიდა ხელს (სიჩქარე), რომ მისი ფრაზეოლოგია მხატვრული ყოფილიყო და მისი ენა ნამდვილ ქართულ-ლიტერატურული.

ამაში ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გარდა პროზაიკოსობისა, პოეტიც იყო და აქვს საკმაოდ კარგად შესრულებული ლექსები და პოემები.

რასაკვირველია, ლექსებში მას დიდებულ აკაკის სიხხარტე არ შედგამდა, მაგრამ მისი ნაწარმოებები ამ დარგშიაც უსათუოდ იყო აზრიანი, საკითხთა სწორად გამშუქებელი და მკითხველის გულისყურის გამომწვევი.

მისი ზოგიერთი ლექსი დღესაც ცოცხლობს ჩვენს სინამდვილეში: „მე პატარა ქართველი ვარ“ და „შეეჩვია ჭირს, ვაებას ეს გული“, ან მისი „ცრემლები“, სადაც ის ამბობს — რატომ არ ძალმიძს სულ ცრემლად ვიქცე, ნიაღვარივით მოვვარდე და სულ წავლეკო, რაც ქვეყნად ბოროტება არსებობსო.

იგი წერდა აგრეთვე სასცენო პიესებსაც. ერთი ისტორიულ სიუჟეტზე აგებული პიესა, სახელი არ მახსოვს, თავის დროზე დაუდგა ქუთაისში თვითონ ჩვენმა განთქმულმა არტისტმა ლადო მესხიშვილმა. ზოგ თეატრში იდგმებოდა აგრეთვე მისი პიესა „გაქსუებული“, მაგრამ ყველაზე დასანანი ის არის, რომ მისი ერთი საუკეთესო პიესათაგანი — „ძიძიშვილი“ სამეგრელოს წარსულიდან დღემდე არც გამოცემულია და არც დადგმული.

როდესაც დიმიტრი პირველად სტუდენტის ფორმით ჩვენთან ჩამოვიდა სამეგრელოში, როგორც ზემოთ ვთქვი, მე უკვე მოჩიტული ვიყავი, 14 წლისა, და ასე წარმოიდგინეთ, რომ ჩემი საკუთარი ხელნაწერი ჟურნალიც მქონდა— „მოზარდი“, და რაზედაც დიდად გამამხნევა ახალგაზრდა დამწყებმა მწერალმა და ამის შემდეგ გახდა ამ ჩემი ორგანოს მუდმივი თანამშრომელი. ის ოდესიდანაც კი მიგზავნიდა თავის პაწია მოთხრობებს. მაგ. „ხვიმონ მღვდელი“ და სხვ. ასე რომ დიდად დავმეგობრდით და გახურებული მიწერ-მოწერაც კი გვქონდა გაჩაღებული.

საერთოდ კი მისი ცხოვრება პირველ ხანად ვერ წარიმართა დამაკმაყოფილებლად. ნივთიერი ხელმოკლეობა დიდხანს თან სდევდა ამ მშვენიერ მწერალსა და ადამიანს. ადამიანს-მეთქი რომ ვამბობ, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ის იყო სულიერად და ზნეობრივად ყოვლად უმწიკვლო კაცი, პატიოსნებით აღსავსე, დიდი პატრიოტი თავის ქვეყნისა და მოწინავეთა რიგებში მდგომი. მაგრამ ერთი უბედურებაც: ამისთანა საჭირო მწერალი და ადამიანი იძულებული იყო გაცლოდა თავის სამშობლოს და სხვაგან ეძებნა ლუკმა-პურის სახსარი. ის დიდხანს იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში გადასახადთა შემკრებ ინსპექტორად და მისი ობოლი გული დიდხანს იყო თავის ქვეყანას განრიდებული, თუმცა იქიდანაც იგი აწვდიდა თავის ნაშრომებს ჩვენს მაშინდელ პრესას. დაუვიწყარია მისი პუბლიცისტური წერილები, რომელსაც სათაურად ჰქონდა „ხმა შორიდან“ და რომელსაც ქვეშ აწერდა „ოდიშარიას“.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას ძლივს ეღირსა თავის სამშობლოში დაბრუნება და პირველი ის მოვიდა საბჭოთა ხელისუფლებასთან როგორც ერთგული თანამშრომელი, მაგრამ წინანდელი ცხოვრების სიდუხჭირემ გატეხა კაცი, დააუძლურა, დიდხანს აღარ უცოცხლია და ისეთი საგრძნობი რამ არ შეუქმნია, თუმცა ხშირად მიზიარებდა თავის გეგმებს მომავალ ნაწარმოებთა შესახებ.

საქართველოს, ბედნიერ მწერალთა შორის, ჰყავს აგრეთვე ცხოვრებისაგან განაწამები შემოქმედნი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ გაწამებულებში ურევია დუტუ მეგრელიც. მისი გარდაცვალების შემდეგაც ერთი ხეირიანი და საფუძვლიანი გამოკვლევაც კი არ არსებობს მისი შემოქმედებისა.

უსამართლობაა!

მაგრამ მე მგონი, ეს უსამართლობა მალე გამოსწორდება, რადგან უკვე გამოჩნდნენ ახალგაზრდა მკვლევარები და ისინი გამოაჩენენ საჯაროდ იმ ხალხის გულში ჩამარხულ წმინდა ხსოვნას დუტუ მეგრელისას, რომელიც ამ ჟამად, როგორც ცაცხვის ძირს წვიმაში შეფარებული ბელურები მიუჟუჟული არის და უცდის გამოღარებას.

შალვა დადიანი

# არ აგერიოთ



დები შიშნიაშვილები. მარცხნივ — მარინეა, მარჯვნივ — ქეთინო. ან იქნებ პირიქით!



პაატა და ზაზა გველესიანები, ძმებს მოწყენილთ ვერასოდეს ნახავთ!



მადონა, მანანა და დალი ინდუაშვილები, სამივე დაი მეხუთე კლასშია, ფრიადებზე სწავლობენ.

გიორგი და ლაშა გეგენავები



ძმები რაბინოვიჩები — მოსე და იოსები.





მარიამ და თამარ ხუნდაძეები, ორივე პენსიონერი პედაგოგები არიან.



დათო და ზურა ივანიშვილები. მე შენ ვარ, თუ შენ მე ხარ!



მაკა და ლევან ხარიები, ესენიც ტყუპები არიან?



დები ჟღენტები: ცისანა და ციური, ორივენი ინჟინრები არიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო ოთარ თურქიასი და გონდო დადვაძისა



დები კასრაძეები — ნინიკო და სოფიკო. ცოტა არ იყოს, დაიმორცხვეს გოგონებმა ფოტოკამერის წინ.

შინაურებზე არაფერს ვიტყვით, მაგრამ ნაცნობებს ეზოში ეშლებათ რომელი რომელია, ეშლებათ ქუჩაშიც, სკოლაშიც, დაწესებულებაშიც და, ვაი თუ ჩვენც შეგვეშალა! თუ ასეა, გვაპატიეთ ჩვენო კარგო მეგობრებო!

მარინე და ირინე გოცირიძეები.



# გამოთხოვება ფეხბურთთან

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ ფანჯიკიძე

მე მინდა ერთ ბრაზილიელ მოხუცზე გიამბოთ.

ზოგი ოთხმოცი წლისაც კი ახალგაზრდა რჩება. პაბლო პიკასოს შემოქმედებითი ენერგია დღესაც კი ჭაბუკურია და ამოუწურავი. მაგრამ ასეთი ადამიანების საქმიანობა ხომ მშვიდ აზროვნებასთანაა დაკავშირებული. ეს ბრაზილიელი კი ოცდაჩვიდმეტი წლისაა და უკვე მოხუცია, რადგან ხელოვნება, რომელსაც მან მიუძღვნა თავისი ცხოვრება, მოძრაობის ხელოვნებაა. მოხუცი ფეხბურთს თამაშობს.

ამ სიტყვებით იწყება წიგნი, რომელიც ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელის ნილტონ სანტოსის ცხოვრებაზეა დაწერილი.

მახსოვს, ერთხელ ჟურნალ „დროშის" დავალებით თბილისის დინამოს კაპიტანზე — შოთა იამანიძეზე ნარკვევი დავწერე. მაშინ, მრავალ კითხვათა შორის, ერთი ასეთი შეკითხვა მივეცი ჯანღონით აღსავსე ფეხბურთელს — შენს ცხოვრებაში ყოფილა თუ არა წუთები, როცა პროფესიული მოწყენილობა გიგრძვნია-მეთქი.

— სამწუხაროდ, მქონია, — მიპასუხა მან, — ერთხელ მოსკოვში, დონეცკსა და კიევში ზედიზედ ოთხი შეხვედრა ჩავატარეთ. შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში წავედით. ოცი დღე იქ დავყავით. როცა უკან დავბრუნდით, მოსკოვიდან პირდაპირ ლენინგრადში გავემგზავრეთ, ისე მომბეზრდა ტრანსპორტი და სასტუმრო, ისე მომენატრა შინ გაკეთებული საჭმელები, რომ ერთი სული მქონდა, თბილისში როდის დავბრუნდებოდი. ამას ზედ ისიც დაერთო, რომ ბოლო თამაში წავაგეთ და თბილისში ჩამოსასვლელი პირი აღარ გვქონდა. თავმობეზრებულმა რამდენჯერმე გავიფიქრე, ჩავალ და ფეხბურთს თავს დავანებებ-მეთქი. ჩამოვედი, გათენდა დილა და ერთი წუთითაც კი ვერ წარმომედგინა, რომ ფეხბურთს ველარ ვითამაშებდი.

მაშინ უნებურად ვიფიქრე, ჩემთვის ალბათ ძალიან ძნელი გადასატანი იქნება ის დღეები, როცა ფეხბურთს სამუდამოდ გამოვეთხოვები.

ეს იყო შვიდი წლის წინათ.

და აი, უკვე დადგა ფეხბურთთან გამოთხოვების დღეც.

შოთა იამანიძე ფეხბურთისთვის უკვე მოხუცდა და იგი სამუდამოდ ეთხოვება თბილისის „დინამოს". და ეს მოხუცი... მხოლოდ 31 წლისაა.

სინამდვილეში კი შოთა იამანიძე არასდროს არ ყოფილა ფიზიკურად ასეთი ძლიერი და ენერგიით აღსავსე. მაგრამ ფეხბურთისთვის მაინც მოხუცდა, მოხუცდა, რადგან მისი სისწრაფე, მოედანზე მოქმედების ორიენტაცია და რეაქცია ოდნავ ნელი გახდა. ამ თვისებათა შენელების განზომილებად მხოლოდ სეკუნდი ან სეკუნდის რაღაც ნაწილები თუ გამოგვადგება, მაგრამ ფეხბურთის უმაღლესი დონისათვის ეს უკვე საკმარისია, რომ მოხუცთა თაობაში გადაეწერო.

ახლა მისი სპორტული ცხოვრება, მსოფლიოს სახელგანთქმული სტადიონების მწვანე მოედნებზე გადატანილი ორთაბრძოლები, წარმატებათა სიხარული და წარუმატებლობის სინანული, უკვე სხვებისთვის კი არა, თვითონ შოთა იამანიძისთვის გახდა ისტორია.

შოთას ხომ გუშინდელივით ახსოვს, 1953 წელს, მიუხედავად თავისი პატარა ასაკისა და ექიმების პროტესტისა, არჩილ კიკნაძემ როგორ ათამაშა საბჭოთა კავშირის პირველობაზე ჭაბუკთა შორის. გუნდში ყველაზე უმცროსი ბიჭი კაპიტნად აირჩიეს. შოთას ხელმძღვანელობით ჩვენმა ჭაბუკებმა პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს. მომდევნო წელს კი 17 წლის ფეხბურთელი ბორის პაიჭაძემ და ავთანდილ ღოღობერიძემ გამოიძახეს და თბილისის „დინამოში" გადასვლა შესთავაზეს.

იგი მოკრძალებული შესცქეროდა ორ სახელოვან კაპიტანს — ბორის პაიჭაძეს, რომელსაც უკვე დამთავრებული ჰქონდა თავისი სპორტული კარიერა. და ავთანდილ ღოღობერიძეს, რომელიც თავისი დიდების ზენიტზე იდგა.

მაშინ შოთა იამანიძეს აზრადაც არ მოსვლია, რომ გაივლიდა რამდენიმე წელი და თვითონ მიემატებოდა თბილისის „დინამოს" სახელოვან კაპიტანთა პლეადას.

მაშინ ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ თვითონ იქნებოდა პირველი ქართველი კაპიტანი, რომელიც მღელვარე ორთაბრძოლებში წინ გაუძღვებოდა თბილისის „დინამოს" — საბჭოთა კავშირის ჩემპიონს.

და აი, 1967 წლის ჩემპიონატის უკანასკნელ მატჩზე შოთა იამანიძე უკანასკნელად ედგა თბილისის „დინამოს" სათავეში. ეს იყო მისი მე-300 საიუბილეო მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

მთელი საბჭოთა ფეხბურთის ისტორიის მანძილზე თბილისის „დინამოს" კაპიტანი იყო მეხუთე კაცი, რომელიც შევიდა ეგრეთწოდებულ სამასიანელთა ოჯახში; მანამდე ამ ოჯახის წევრები იყვნენ ი. ნეტო, ა. ღოღობერიძე, ს. სალნიკოვი და ვ. ვოროშილოვი.

შოთა იამანიძე თბილისის „დინამოს" რიგებში ჩარიცხვამდე ჭაბუკურ გუნდებში მარცხენა გარემარბის ადგილზე თამაშობდა, „დინამოს" რიგებში კი — ხან მარცხენა შუამარბად, ხან მარცხენა ნახევარმცველად.

გულშემატკივრებისა და ფეხბურთის სპეციალისტებს შორის ხშირად იყო კამათი, რომელი სჯობდა — იამანიძე-შუამარბი, თუ იამანიძე-ნახევარმცველი. უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ იამანიძე ნახევარდაცვაში გაცილებით ძლიერად თამაშობდა. თუმცა თვითონ შოთას კი მაინც წინ, თავდასხმისაკენ მიუწევდა გული.

„სპარტაკი" (მოსკოვი) —
„დინამო" (თბილისი) 1960 წ.



ერთ რამეზე კი არასდროს არ კამათობდნენ გულშემატკივრები, შოთა იამანიძე ყველას დიდი დიაპაზონის ფეხბურთელად და დრიბლინგის დიდოსტატად მიაჩნდა.

ვისაც ახსოვს შოთა იამანიძის საუკეთესო წლები, ალბათ ისიც ემახსოვრება, რა თავისუფლად „დასეირნობდა“ იგი მოედანზე. რამდენი გოლი გვახსოვს მის მიერ გატანილი, როცა ბურთი საკუთარ საჯარიმო მოედანზე მიუღია, მოუტყუებია ოთხი, ხუთი მოწინააღმდეგე, გადაუვლია მთელი მოედანი და ულამაზესი დარტყმით ბურთი კარის ბადეში გაუხვევია.

თუ იამანიძე კარგად თამაშობს, გუნდიც კარგად თამაშობსო, — ხშირად გაიგონებდით ხოლმე გულშემატკივართა შორის. ეს არ იყო გადამეტებულად ნათქვამი. შოთა იამანიძე, გარდა იმისა, რომ თვითონ თამაშობდა კარგად, იგი წარმართავდა გუნდის საერთო მოქმედებას, ერთმანეთთან აკავშირებდა დაცვას და თავდასხმას, ხელმძღვანელობდა ბრძოლას მთელი 90 წუთის მანძილზე.

მაგონდება 1961 წელი. ლენინგრადში დავესწარი თბილისის დინამოელების შეხვედრას ლენინგრადელ თანაკლუბელებთან. მაშინ გუნდს ავთანდილ ღოღობერიძე წვრთნიდა.

მატჩს ესწრებოდა მიხეილ იაკუშინიც. თამაშის წინ მან ქართველ ფეხბურთელებს უთხრა:

— დღეს მოედანზე იქნება იამანიძე-მოროზოვის ორთაბრძოლა. გაიმარჯვებს ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებულის გუნდი.

მართლაც რომ გამართლდა შესანიშნავი მწვრთნელის სიტყვები. ამ ორთაბრძოლაში იამანიძემ სძლია მოროზოვს და ულამაზესი გოლიც გაიტანა. მატჩი თბილისელებმა მოიგეს 3:0.

ცოტა როდი გვახსოვს იამანიძის „ორთაბრძოლები“ უფრო მაღალ დონეზე, თუ კი შეიძლება, რომ ფეხბურთში გამოვიყენოთ ასეთი ტერმინი. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი ჭიდილი მთელს მსოფლიოში აღიარებულ ვალერი ვორონინთან. ეს იყო 1960 წელს, ფინალური შეხვედრის დროს საბჭოთა კავშირის თასზე, აგრეთვე მომდევნო წელს როცა თბილისელებმა 6:4 დაამარცხეს მოსკოვის ტორპედოელები. არანაკლებ პრინციპული იყო „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრები 1964 წლის ჩემპიონატის მეორე წრეში და ტაშკენტში, დაუვიწყარ ოქროს მატჩში.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მოსკოვის „ტორპედოსთან“ ჩატარებულ მრავალ მატჩს შორის, ეს შეხვედრები მართლაც უველაზე პრინციპული იყო და ყველა ამ შეხვედრაში ბურთის ნამდვილი დიდოსტატი ვალერი ვორონინი ფერმკრთალი გამოჩნდა თბილისელთა კაპიტანთან დუელში.

პირველად, მთელი სიღრმით და მოცულობით შევეციის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გავეცანით მსოფლიო ფეხბურთს; შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველად მაშინ მოხდა ჩვენი შეხედულებების გადაფასება და საერთაშორისო საფეხბურთო დონესთან თუ აზროვნებასთან ერთგვარი ბალანსირება.

ჩვენს მკითხველებს ალბათ ახსოვთ, რომ ჩემპიონატს შემდეგ შედგენილ მსოფლიო იდეალურ ნაკრებში შესანიშნავმა საბჭოთა ფეხბურთელმა იური ვოინოვმაც დაიმკვიდრა ადგილი მსოფლიოს აღიარებულ ვარსკვლავებს შორის.

მით უფრო საინტერესო იყო იამანიძისა და ვოინოვის ორთაბრძოლა სულ რაღაც ორიოდე კვირის შემდეგ. მით უმეტეს, რომ ჩვენი მაყურებელი ამ ორთაბრძოლას აფასებდა უკვე მსოფლიო კლასის დონიდან.

გავიხსენოთ ეს დაუვიწყარი მატჩი კიევის „დინამოსთან“. თბილისელთა რომელიღაც მცველმა ბურთი კიეველთა საჯარიმო მოედანზე ჩაჰკიდა. ვოინოვი ახტა და ბურთი თავით აკეწლა. უკვე მესამედ აპირებდა აკენწვლას, როცა იამანიძე წინ ჩაუდგა, უფრო მაღლა ახტა, ვოინოვის ასაკენწლ ბურთს თავი თვითონ შეაგება და ბურთთან ერთად მიწაზე მსუბუქად დაეშვა. მერე ბურთი მკერდზე ჩაიგორა (იგი ამ დროს ვოინოვისაკენ ზურგით იდგა) და მოულოდნელად ვოინოვს პირუკუ თავზე გადაუგდო, თვითონ სწრაფად შეტრიალდა და კიეველთა კაპიტანს გვერდი მარჯვენა მხრიდან აუარა. როცა ვოინოვი გონს მოვიდა, მიხვდა, რომ ერთი გამოსავალიღა დარჩენოდა, თბილისელთა კაპიტნისათვის ხელი მაისურაში ჩაევლო და ისე გაეჩერებინა. მსაჯმაც აღარ დააყოვნა, სასტვენს ჩაბერა და ხელი თერთმეტმეტრიანი საჯარიმო წერტილისაკენ გაიშვირა.

სტადიონის ტრიბუნებს მქუხარე ტაში მოსწყდა.

ასეთი მომენტები რომ მხოლოდ ეპიზოდები იყოს შოთა იამანიძის სპორტული ბიოგრაფიისა, ასე ოსტატურად ჩატარებული მაღალტექნიკური ილეთები რომ მხოლოდ ცალკეული გაელვებები ყოფილიყო მისი საფეხბურთო ნიჭისა, მაშინ, ალბათ, არც ეღირებოდა ამ ამბების გახსენება.

შოთა იამანიძე ყოველთვის იყო ერთგული თავისი გუნდისა. სეზონები ჩაუტარებია მას ისე, რომ თამაში არ გაუცდენია. იგი არ იყო ჭირვეული, მიზეზიანი ფეხბურთელი, არასდროს არ არიდებდა თავს მეორეხარისხოვან და უსიამოვნო მატჩებს. ხშირად სიცხიანი გამოდიოდა მოედანზე, „ტორპედოსთან“ ფინალურ მატჩში კი ფეხის საშინელი ტკივილი ნოვოკაინის ნემსების ბლოკადით გაიყუჩა და მოწინააღმდეგეს თავდავიწყებით შეება.

ამიტომაც იყო, რომ შედარებით ახალგაზრდამ გადალახა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში ჩატარებული მატჩების რაოდენობის სამასეულიანი ზღვარი, რომელსაც მხოლოდ ოთხმა ფეხბურთელმა გადააბიჯა მანამდე. თბილისელთა კაპიტნის ანგარიშში 67 გატანილი ბურთია მთელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

შოთა იამანიძეს მართლაც რომ დამსახურებულად მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება. და აი ახლა, თავისი კარიერის დასრულების შემდეგ, მას შეუძლია შეაჯამოს, რამ მოუტანა ყველაზე დიდი სიხარული ან ყველაზე დიდი სინანული სპორტულ სარბიელზე.


ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეფილდი“ (ინგლისი) — „დინამო“ (თბილისი) 1960 წ.

მატჩი მოსკოვის „ტორპედოსთან“ ტაშკენტში. ეს ყველაზე დაუვიწყარი მატჩია თბილისელთა კაპიტნისათვის და არა მარტო მისთვის...

— პროფესიული თვალსაზრისით ჩემს მეხსიერებაში არასდროს არ ამოიშლება ჩვენი ორთაბრძოლა „ვულვერჰემპტონ უონდერესთან“ ინგლისში, ვულვერჰემპტონის „მოლინე გრაუნდის“ სტადიონზე. როგორც ვიცით, მატჩი დამთავრდა 5:5. „მგლები“ მხოლოდ უკანასკნელ წუთებში გადარჩნენ დამარცხებას.

ერთი დიდი სინანული წაჰყვა შოთას — მისი ოცნება იყო ეთამაშა პელეს წინააღმდეგ. ამის საშუალებაც მიეცა. იგი ხომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრების კაპიტნად აირჩიეს, როცა სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრნენ ხანგრძლივი ტურნეს ჩასატარებლად. „სანტოსთან“ შეხვედრის წინა დღით ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, შოთა იამანიძეს ევალებოდა ფეხბურთის მეფის — პელეს დაჭერა. რატომღაც საღამოს მწვრთნელმა გადაიფიქრა ეს ვარიანტი და მეორე დღეს იამანიძის ნაცვლად მოედანზე ლენინგრადელი ზავიდონოვი გამოიყვანა.

— ყველაზე ლამაზი ფურცელი ჩემი სპორტული ბიოგრაფიისა შეუვსებელი დარჩა! — მითხრა ნაღვლიანი ღიმილით შოთამ ბრაზილიიდან დაბრუნების შემდეგ.

პელე შოთა იამანიძის კერპია. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებად კი მიაჩნია გარინჩა და სუარესი, კოპა და სუენი, ბლენჩფლაუერი და ზიტო, კუტინიო და ვავა.

შოთა იამანიძე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სტადიონებზე გამოსულა. მისმა საფეხბურთო ტალანტმა და მაღალმა ოსტატობამ დიდი აღიარება ჰპოვა საფრანგეთსა თუ ინგლისში, ჩეხოსლოვაკიასა თუ კუბაში, გერმანიასა თუ ბირმაში, ბელგიასა თუ ავსტრიაში, პოლონეთსა თუ ბულგარეთში. უცხოეთის გაზეთები მას ბევრი შესანიშნავი ეპითეტით ამკობდნენ, მაგრამ აქ მხოლოდ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის პრესბიუროს წერილიდან მოვიტან ნაწყვეტს. ვფიქრობთ, მოსკოველი ჟურნალისტების მიერ გამოთქმული აზრი თბილისელთა კაპიტანზე, ყველაზე სრულყოფილად განსაზღვრავს შოთა იამანიძის დიაპაზონსა და მანერას.

„თბილისის „დინამოს“ ნამდვილ სახესა და ბუნებას განსაზღვრავს მდიდარი ფანტაზია და იმპროვიზაცია. მაგრამ შოთა იამანიძის დაუსრულებელი ტრავმები თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელებს საშუალებას არ აძლევს მთლიანად გამოამჟღავნონ თავისი შესაძლებლობანი (ეს სტატია დაწერილია 1962 წელს, როცა შოთა იამანიძემ სერიოზული ტრავმის გამო გამოტოვა თითქმის ნახევარი სეზონი — გ. ფ.). არავის არ შეუძლია მესხთან ერთად თამაშში შეცვალოს თბილისელთა კაპიტანი. იამანიძე-მესხი, — ეს არის საბჭოთა ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო დუეტი. გარდა ამისა, შოთა იამანიძე, როგორც ბრწყინვალე დრიბლიორი, თბილისელთა თამაშს თითონ აძლევს განუმეორებელ კოლორიტს“.

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე ისტორიაა. შოთა იამანიძემ, ბრაზილიაში გავრცელებული გამოთქმისა არ იყოს, უკვე კედელზე დაკიდა ბუცები. იგი იწყებს ახალ ცხოვრებას, ცხოვრებას მწვანე მოედნისა და ბურთის გარეშე. ახალი სეზონიდან მას უკვე სტადიონის ტრიბუნებზე ნახავენ როგორც მაყურებელს, მაგრამ გულშემატკივართა მეხსიერებაში არასოდეს არ ამოიშლება დრიბლინგის დიდოსტატის განუმეორებელი სილამაზის რეიდები, რომლითაც შოთა იამანიძე, როგორც ინდივიდი, შევიდა ქართული ფეხბურთის მატიანეში.

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

## რას მოგვითხრობს შავი წიგნი

კარგა ხანია, რაც თეთრ, ცისფერ, წითელ, ყვავისფერ წიგნებად ნათლავენ დოკუმენტების კრებულებს, მიძღვნილებს ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის აქტუალური პრობლემებისადმი. მათ ჩვეულებისამებრ, გამოსცემენ მთავრობები ან მსხვილი საერთაშორისო ორგანიზაციები. ამას წინათ, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გამოვიდა „შავი წიგნი“. ეს წიგნი გამოსცა არა მთავრობამ, არამედ პოლიციელთა პროფკავშირმა.



„შავი წიგნის“ ქვესათაური მეტად მეტყველია: „კაპიტულაცია დანაშაულებათა წინაშე“? პოლიციელები ჩივიან, რომ ისინი თავს ველარართმევენ დანაშაულებათა მზარდ ტალღას. „შავი წიგნის“ ავტორები თავიანთ უსუსურობას ხსნიან იმით, რომ სისხლის სამართლის პოლიციის კადრები არ არის დაკომპლექტებული, ცუდია ტექნიკური აღჭურვილობა. გასულ წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დანაშაულობათა რიცხვმა ორ მილიონს მიაღწია. სისხლის სამართლის პოლიციაში კი მსახურობს 15 ათასი კაცი. იმ ბოროტმოქმედთა რაოდენობა, რომლებსაც პოლიცია დაეძებს, ასი ათასს აღემატება, მათგან დაპატიმრებულნი ძალიან ცოტანი არიან.

როგორც ჩანს მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია, რაკი პოლიციამ მიმართა ისეთ არაჩვეულებრივ ხერხს, როგორც ამ „შავი წიგნის“ გამოცემაა. მაგრამ ეს წიგნი სრულიადაც ვერ ხსნის და ვერ არკვევს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დანაშაულობასთან ბრძოლაში შექმნილ ძალთა უთანასწორობის ჭეშმარიტ მიზეზებს. საქმე ისაა, რომ ბონს ამისათვის არ სცალია, ის გართულია პროგრესული ელემენტების დევნით, ამ საქმეს ემსახურება პოლიტიკური ძებნის მრავალი ათასი მოხელე და აგენტი, ამაზე იხარჯება უზარმაზარი თანხები. სისხლის სამართლის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის კი არ ჰყოფნით არც ფული, არც ადამიანები.

## ვინ წააქეზა მკვლელი

ვერსალი... ამ პატარა ქალაქის სახელს ყველაზე უფრო ხშირად ისტორიის სახელმძღვანელოებში წააწყდებით. ეს იყო საფრანგეთის მეფეთა რეზიდენცია, იგი პარიზიდან თვრამეტი კილომეტრითაა დაშორებული; ბოლო ხანებში ამ ქალაქს იშვიათადღა ახსენებდნენ, მაგრამ ტრაგედიამ, რომელიც ახლახან ამ ქალაქში მოხდა, მთელი მსოფლიო ააღელვა. ევროპის დიდი რადიოსადგურები ყოველ საათს გადმოსცემდნენ თავიანთი ვერსალელი კორესპონდენტების ცნობებს, დეპეშები იწყებოდა იმის თხრობით, თუ რა ხდებოდა ვერსალში.

რით მიიპყრო ვერსალმა ასეთი ყურადღება? ერთ დღეს შვიდი წლის მოსწავლე ემანუელ მაიარი 11 საათსა და 40 წუთზე გამოვიდა ლიცეიდან. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ იგი შინ უნდა მისულიყო. მაგრამ ბავშვი არ დაბრუნდა სახლში. ორი საათის შემდეგ მამამისმა საფოსტო ყუთში იპოვა წერილი, შედგენილი გაზეთებიდან ამოჭრილი ასოებით. უცნობი გამტაცებელი შვილის დაბრუნების საფასურად მამას 20 ათას ფრანკს სთხოვდა.

ბავშვის მოტაცება საყოველთაოდ ცნობილი გახდა. ეს იყო სენსაცია. მართლაც, ასეთი დანაშაული საფრანგეთში მეტად იშვიათად ხდება და მკაცრადაც ისჯება. მრავალი წლის განმავლობაში პროფესიული ბოროტმოქმედებიც კი ერიდებოდნენ ბავშვების მოტაცებას. ორი შემთხვევა — მილიონერ პეჟოს ვაჟიშვილის მოტაცება 1962 წელს და მეორე — მილიონერი დასოს ცოლის მოტაცება, როგორც პოლიციელები ამბობდნენ, მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენდა. ვინ ჩაიდინა ამჯერად ეს დანაშაული?



გაუგებარი იყო ერთი რამ: ვის რად დასჭირდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურის შვილის მოტაცება? გაზეთები ათასნაირ მიზეზს ვარაუდობდნენ.

სამი დღის უშედეგო ძებნის შემდეგ ტელევიზიით გამოვიდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ქრისტიან ფუშე. მან მიმართა ბოროტმოქმედებს საფრანგეთის პოლიციის ისტორიაში უპრეცენდენტო წინადადებით: პოლიცია ერთი დღე-ღამის ვადას აძლევდა მომტაცებლებს და მინისტრი პირობას სდებდა, რომ ხელს არ ახლებდნენ იმას, ვინც ბავშვს მშობლებს დაუბრუნებდა.

ეს დღე-ღამეც მიიწურა. დამნაშავეები სდუმდნენ. პოლიციამ გააძლიერა ძებნა. დაკარგული ემანუელის მამის სახლში დადგეს ყურის დამგდები აპარატები და ტელეფონები. რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწკრიალა ტელეფონმა, ვიღაც უცნობი, ბავშვური ხმით მოითხოვდა გამოსასყიდის გადიდებას 60 ათას ფრანკამდე. პოლიციელებმა დაადგინეს, რომ მოლაპარაკე 500 მეტრზე იმყოფებოდა. კვლავ განაგრძეს ძებნა. და ბოლოს, მეორე დილით საფრანგეთის ყველა რადიოსადგურმა გადასცა პოლიციის სასწრაფო განცხადება: ბოროტმოქმედი ნაპოვნია. იგი აღმოჩნდა იმავე სკოლის მოსწავლე 15 წლის ფრანსუა მ. (საფრანგეთის კანონებით აკრძალულია არასრულწლოვანი დამნაშავის გვარის დასახელება საჯაროდ). მან ბოლოს და ბოლოს აღიარა, რომ მოიტაცა ემანუელი. და არა მარტო მოიტაცა, შეიყვანა თავის სახლში, გულგრილად მოკლა წინასწარ მომზადებული კეტით, მოკლული ჩააწვინა ძველ საბავშვო ეტლში, დააყარა ზემოდან ჩვრები და ისე გამოვიდა ამ თავისი ტვირთით ქუჩაში, რომ არავის ეჭვი არ აღძვრია. ასევე გულგრილად თხუთმეტი წლის ბოროტმოქმედმა თავისი მსხვერპლი ჩაფლა მეზობელ ტყეში.

ახლა, როცა ნათელი გახდა მთელი ეს ბოროტმოქმედება, იმ ადამიანთა უმრავლესობის წინაშე, ყურადღებით რომ ადევნებდნენ თვალს გამოძიების მიმდინარეობას, წამოიჭრა მრავალი შეკითხვა: რატომ მოხდა, რომ 15 წლის ყმაწვილმა, იურიდიული ენით რომ ვთქვათ, ჩაიდინა წინასწარ მოფიქრებული და დეტალებამდე დამუშავებული დანაშაული? ვინმემ წააქეზა? არის თუ არა იგი ნორმალური ადამიანი? ფრანსუა ლიცეიში მუდამ მაღალ ნიშნებს იღებდა, ცხოვრობდა შეძლებულ ოჯახში, ბევრს კითხულობდა. კითხულობდა სწორედ იმ ჭრელყდიან წიგნებს, რომლებიც იაფად იყიდებოდა თითქმის ყველა კიოსკში და სპეციალურად განკუთვნილია „ათიდან თექვსმეტ წლამდე“ ახალგაზრდებისათვის. ამ წიგნებში აქებენ და ადიდებენ „სუპერმენებს“, ხანჯლისა და რევოლვერის რაინდებს, რომლებიც ჰკლავენ ყოველ შემხვედრს მარცხნივ და მარჯვნივ. ამ წიგნების მიხედვით შეიმუშავა ახალგაზრდა ფრანსუამ თავისი „ფილოსოფია“, თავისი შეხედულებები სამყაროზე; გამოძიების დროსაც მან ასე განაცხადა: „მსურდა დამემტკიცებინა, რომ მე უბრალოდ ადამიანი კი არა, სუპერმენი ვარ“.

სასამართლოს საქმეა, როგორ მოექცევა ამ მორალურად დამახინჯებულ ყმაწვილს. მაგრამ საფრანგეთის საზოგადოებრიობა შეშფოთებულია. თუ დღეს ერთმა ჭაბუკმა ჩაიდინა საზარელი ბოროტმოქმედება, რა გარანტიაა რომ ხვალ ამასვე არ მოიმოქმედებს სხვა ხუთი ან ათი მისი თანატოლი?

საკითხი საფრანგეთის ეროვნული კრების მსჯელობის საგნად იქცა. დეპუტატებიდან ერთ-ერთი მოითხოვდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ „განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს გამომცემელთა მიერ იმ ლიტერატურის განუკითხავ ბეჭდვას, რომელიც ცუდ მაგალითს აძლევს ახალგაზრდობას, ტექსტსა და ფოტოსურათებში ხოტბა-დიდებას ასხავს სისასტიკესა და ძალმომრეობას“.

მოსწავლეთა მშობლების საფრანგეთის ფედერაცია თავის მხრივ მოითხოვს ხელისუფალთაგან „ეფექტური კონტროლის დაწესებას პრესაზე, კინოზე, ტელევიზიაზე, რათა ბავშვები ყოველდღე არ კითხულობდნენ და არ უყურებდნენ არაადამიანური საქციელისა და სისასტიკის სცენებს, რომელთა წინააღმდეგ ისინი შეიარაღებულნი არ არიან არც მორალურად, არც ფსიქიკურად“.

## მძიმედ დაიჭრა საარჩევნო ყუთთან...

...ბრძოლა გააფთრებული იყო... ამდენი და ამდენი კაცი მოჰკლეს, ამდენი დაიჭრა მძიმედ, ამდენი მსუბუქად — ასეთი ცნობები ჩვეულებრივ ბრძოლის ველიდან მოდის ხოლმე, და უცებ, ასეთივე ცნობები გამოაქვეყნეს ფილიპინებზე გამართული არჩევნების შედეგად; თუმცა წესრიგის დასაცავად მობილიზებული იყო სახმელეთო ჯარების 25 ათასი ჯარისკაცი, სამხედრო ავიაცია. სამხედრო-საზღვაო ფლოტი და 19 ათასი პოლიციელი, საქმე მაინც შეტაკებამდე მივიდა. მოკლულთა რაოდენობამ გადააჭარბა 100 კაცს, დაჭრილებს კი არც ითვლიდნენ. მარტო ხმის მიცემის დღეს მოკლულ იქნა 18 კაცი. „ყველაზე სისხლიანი არჩევნები დამოუკიდებელი ფილიპინების მთელი ისტორიის მანძილზე“, — ასე ახასიათებენ ამ კამპანიას პოლიტიკური მიმომხილველები.

მსხვერპლთა რაოდენობის ასეთი რეკორდით დამთავრდა ბრძოლა რვა სენატორის ადგილისათვის ოცდაოთხიდან. პროვინციათა გუბერნატორების 24 ადგილის, ქალაქთა მერების 1428 ადგილისა და ხელისუფლების პროვინციულ და მუნიციპალურ ორგანოებში 10 ათასზე მეტი მანდატისათვის.

აქვე დავძენთ, რომ ამომრჩეველთა სიები იმდენად არეული და ფალსიფიცირებული იყო. რომ, როგორც გაზეთი „მანილა ქრონიკლი“ წერდა, რეგისტრაციაში გატარებული თითქმის ათი მილიონი ამომრჩევლიდან მილიონზე მეტს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა არ მიეცა. ზოგიერთ ქალაქში ხმის მიცემა არ შემდგარა. ან გადადებულ იქნა, რადგან საარჩევნო უბნებიდან მოტაცებულ იქნა საარჩევნო ბიულეტენები, ან ამომრჩეველთა სიები ან ორივე ერთად. მთელ რიგ ოლქებში შეუძლებელი გახდა ხმების დათვლა, ვინაიდან ბიულეტენიანი ურნები... მოიპარეს.



ამერიკული პროპაგანდა ხშირად უწოდებს ფილიპინებს „დემოკრატიის ვიტრინას აზიაში“. განვლილმა არჩევნებმა მჭევრმეტყველურად გამოააშკარავეს, თუ როგორ დემოკრატიას ნერგავენ აზიაში შეერთებული შტატები!

## ხელმომჭირნე მისტერ ჰიუზი




ამერიკელი მდიდარი მრეწველი ჰოვარდ ჰიუზი ბოლო ხანებში ცხოვრობდა ქალაქ ლას-ვეგასში, სასტუმრო „დეზერტ ინში“. მას ეჭირა დიდი, კომფორტაბელური ნომერი, რომელშიც დღე-ღამეში ორას ორმოცდაათ დოლარს იხდიდა. მისტერ ჰიუზს, ბოლოს და ბოლოს, მოეჩვენა, რომ ნომრის ფასი მეტად დიდი იყო და ადმინისტრაციას სთხოვა ფასის დაკლება. ადმინისტრაციამ უარით უპასუხა ამ თხოვნაზე.

— მე არ შემიძლია ამდენი ფულის გადახდა. — განაცხადა მრეწველმა, — მე ფულის უძირო კასრი როდი ვარ...

ამ სიტყვებთან ერთად მან ჯიბიდან ამოიღო წიგნაკი, გამოწერა 13 მილიონი დოლარი და ბატონ-პატრონი გახდა სასტუმროსი თავისი 600 ნომრითა და პირველ სართულზე მოთავსებული კაზინოთი.

მისტერ ჰიუზი ამის შემდეგ დღე-ღამეში სიამოვნებით იხდიდა 250 დოლარს: იგი ხომ ერთი ჯიბიდან იღებდა და მეორე ჯიბეში სდებდა თავისავე ფულს.

## ნესვის ხე



საბას იგავი ალბათ გახსოვთ, მთიელი რომ ჩამოვიდა ბართა ადგილთა. წალკოტი ნახა და ყველაფერი დია მოეწონა — ხეხილიც, მწვანილიც. მარტო ის არ მოეწონა —მცირე ბალახს ვეება ნესვი აბია, დიდ ხეს კი, ნიგოზიო. მიიარ-მოიარა მთიელმა და ნიგოზთა ძირს დაეძინა. ჰოვიდა ყვავი, ზედ შემოჯდა, კაკალი ჩამოაგდო. მას კაცს შუბლში დაეცა და გაუტეხა. ადგა კაცი იგი და თქვა: ღმერთო, შენ უკეთ გაგირიგებიაო, თუ ამ ხეს ნესვი ბმოდა, თავს გამიჭყლეტდაო.

რა იცოდა იმ მთიელმა, რომ ხე, რომელსაც ნესვი ასხია, მართლა არსებობს. მას ასეც ეძახიან — ნესვის ხე.

ნესვის ხე ხარობს ცენტრალურ ამერიკაში, აფრიკაში, ინდოეთში, ცეილონზე, ავსტრალიაში, მალაის არქიპელაგის კუნძულებზე. ეს არის სწრაფმზარდი მცენარე, რომლის სიმაღლე აღწევს 10 მეტრს, ნაყოფის წონა კი 2 კილოგრამამდეა. ნესვის ხის ნაყოფი სხვადასხვა ფორმისაა, სხვადასხვა ჯიშს გემოც სხვადასხვანაირი აქვს.

ნესვის ხის ნაყოფისგან ამზადებენ სასიამოვნო და სასარგებლო ნაყენს. მარინადს, ჯემს, წვენს იყენებენ განსაკუთრებული ხარისხის ნაყინის დასამზადებლად.

ჩვენი საუკუნის 50-იან წლებში ნესვის ხის მოშენების ცდები დაიწყეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი ბოტანიკური ბაღის გაგრის საცდელ პუნქტში. თვითეული ხიდან მიღებული იქნა 30 კილოგრამზე მეტი ნაყოფი.

ცდები გრძელდება, მუშავდება ამ ძვირფასი ხის გახარების სხვადასხვა მეთოდები. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სულ მალე შესაძლებელი გახდება ნესვის ხეები გავახაროთ შავი ზღვის სანაპიროებზე.

## მეცნიერება და მოდა



საუნივერსიტეტო ქალაქის ინსბრუკის (ავსტრია) ერთ-ერთ მაღაზიაში გასაყიდად გამოიტანეს მოდური კაბები, რომლებმაც მაშინვე დიდი მოწონება მოიპოვა სტუდენტებში. ამ კაბებზე ამოქარგულია... მათემატიკური, ქიმიური და სხვა ფორმულები. სტუდენტ-ქალიშვილებს შეუძლიათ თავიანთი გემოვნებისა და მეცნიერული მისწრაფების შესაბამისად ამოირჩიონ კაბები.

სტუდენტებს ნება აქვთ ასეთი კაბებით იარონ მარტო ლექციებზე; საკონტროლო სამუშაოებისა და გამოცდების დროს კი ფორმულებიანი კაბების ჩაცმა აკრძალულია.

## უსახელო ჩემპიონები



ეს ამბავი ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში მოხდა; ერთი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც წესრიგი დაარღვია, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, რომ თავი დაეღწია დადევნებული პოლიციელისაგან. პოლიციელი ბოლოს მაინც დაეწია ახალგაზრდა კაცს და დაიჭირა. დამსწრეთა გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა პოლიციის განყოფილებაში დაადგინეს, რომ წესრიგის დამრღვევი იყო... ფინეთის მრავალგზის ჩემპიონი და მარათონულ სირბილში მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებული ვილო ოკსანენა.

მსგავსი ამბავი მოხდა იტალიაშიც. მილანში ჩასულმა დელიმა სავორელიმ მატარებლიდან გადმოსვლა ვერც კი მოასწრო, რომ ჩემოდანი ააცალეს. ქალიშვილმა ხალხში თვალი შეასწრო გაქცეულ ქურდს; დელიმა სავორელი ადგილიდან მოწყდა, ასიოდე მეტრი გაირბინა და ქურდს წამოეწია. ქურდი ძველი სპორტსმენი აღმოჩნდა. მან დანანებით განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევების დროს, მას ჯერ არასოდეს არავინ არ დასწევია.

განაწყენებული ქურდი მხოლოდ მას შემდეგ დამშვიდდა, როცა გაიგო, რომ მან ბრძოლა წააგო იტალიის ჩემპიონთან 400 მეტრ დისტანციაზე სირბილში.

## მზის აბაზანები და სასამართლო



პრეტორიის სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომ 11 წლის გოგონა, რომლის მშობლები თეთრკანიანები არიან, მიეკუთვნება „ფერადკანიანებს“. გოგონა დადიოდა თეთრი ბავშვების სკოლაში, მაგრამ შემდეგ სასამართლოს წინაშე წარსდგა, რადგან მისი კანი უფრო მუქი აღმოჩნდა, ვიდრე მისი თანაკლასელებისა.

სასამართლომ უარყო მამის ჩვენება, რომ ბავშვს აქვს კანის თანდაყოლილი ანომალია. რამდენადაც ჯერ კიდევ დადგენილი არ არის რასობრივი ნიშნები, განაცხადეს მოსამართლეებმა, ჩვენ მხოლოდ ჩვენს თვალებს უნდა დავუჯეროთ.

ეტყობა ამავე აზრს ადგანან იოჰანსბურგის უმაღლესი სასამართლოს მსაჯულები, რომლებიც განიხილავდნენ ერთ-ერთი მუშის საქმეს. ეს მუშა ღია ცის ქვეშ მუშაობის დროს ზედმეტად გაშავდა და მსაჯულების დაეჭვება გამოიწვია. ანატომიის პროფესორმა შეამოწმა ბრალდებული და ასეთი დასკვნა გამოიტანა: „მსგავსი ინტენსიობის პიგმენტაცია ხშირად აქვთ ევროპული წარმოშობის ადამიანებს. ასეთი ადამიანი შეიძლება გავდეს ინდიელს, მაგრამ იგი მაინც თეთრია“. მსაჯულებმა მხოლოდ ამ დასკვნის შემდეგ ყურადღებით შეამოწმეს მსჯავრდებული და მიიღეს დადგენილება: „შემოწმებამ ცხადყო, რომ მსჯავრდადებული ძირითადად შეიძლება ჩაითვალოს თეთრკანიანად“.

ერთი სიტყვით, მზეზე გარუჯვა და მზის აბაზანები ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა, მაგრამ ვაი, თუ სასამართლომდე მივიდა საქმე!

## მცენარე ხანძრის წინააღმდეგ



ლოს-ანჟელოსში ამერიკელი მეცნიერები დაკვირვებას აწარმოებენ ისეთ მცენარეებზე, რომლებიც შეიძლება გამოყენებულნი იქნენ ტყეში გაჩენილი ხანძრის საწინააღმდეგოდ. ასეთი მცენარეები ხანძარში მოხვედრის დროს კი არ იწვიან, არამედ მხოლოდ შეიტრუსებიან ხოლმე. ცეცხლგამძლე მცენარეების ზოლები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსაზღვრულ მანძილზე არიან დარგულნი, ხანძრისათვის გადაულახავ საიმედო ზღუდეს ქმნიან. მეცნიერებმა თავიანთი ყურადღება შეაჩერეს 14 სახეობის სხვადასხვა ცეცხლგამძლე მცენარეზე, მათ შორის არის სურო-ფათალო და როზმარინი.

## ყველაფერი დათვლილია



პოლონეთის ბაღებში 33 მილიონი ნაყოფის მომცემი ხეა. ამას გარდა, 41 მილიონი ნაყოფის მომცემი ხე ხარობს გზების გასწვრივ, ეზოებში, მინდვრებში, მუშებისა და მოსამსახურეების ნაკვეთებში. პოლონეთში იმდენივე ვაშლის ხეა, რამდენიც მოქალაქე — 32 მილიონი, ქლიავი — 17 მილიონი, ალუბალი — 13 მილიონი.

პოლონეთში ისეთივე დიდი მოწონებით სარგებლობს უნგრული ღვინო, როგორც უნგრეთში პოლონური ღვინო; გასულ წელს პოლონეთიდან უნგრეთში გაიგზავნა 510 ათასი ლიტრი ტკბილი თეთრი ღვინო, ასეთივე რაოდენობის ღვინო შემოიტანეს პოლონელებმა უნგრეთიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასარგებლოა იცოდეთ!

სადილად რესტორანში შევედი, მიმტანი ვიხმე და თავაზიანად მივმართე:

— გეთაყვა, გთხოვთ მიიღოთ შეკვეთა. დანაყრებისთვის ქაშაყი და ხაბა-ხუბა მომიტანეთ. პირველი—ჭინჭრაქის სუფი, მეორე — შემწვარი გოგრუჭა, თუ არა გაქვთ, ერთი ულუფა შემწვარი ბოცვერის ხორცი იყოს. ჩაროზად კი შტოშის წვენი.

მიმტანი გაკვირვებული მისმენდა. იქვე მდგომი მისი კოლეგებიც ჩემსკენ იმზირებოდნენ. მაგიდაზე უსუფთაო ჩქიფები შევნიშნე და მათი შეცვლა ვთხოვე.

— თქვენ სიცხე ხომ არა გაქვთ,— აზრი გამოთქვა მიმტანმა.

— გადაგვარდა ქართველობა, შეხედო, კაცს ჰგავს — დაუმატა მეორემ.

— მატრაბაზია,—თქვა მესამემ, — ვინ ჭამს მაგას, ვერ ხედავთ, მამის ტოლ ხალხს გვაშაყირებს.



— ქოთი მაგას, — დაასკვნა მეოთხემ.

ჭიტლაყი არ ამცდებოდა, დროზე მილიციელი რომ არ შემოსულიყო. ამ უკანასკნელმა სამი მანეთით დამაჯარიმა, მიმტანთან შელაზღანდარებისათვის. გულდაწყვეტილმა, ჩემთვის წავიბურტყუნე: — კაცს საქართველოში მშობლიურ ენაზე ვერ გილაპარაკნია!

იძულებული გავხდი მიმეტოვებინა იქაურობა და სხვა რესტორანისაკენ გავწიე.

მაგიდას მივუჯექი, მენიუ გადავშალე, ოფიციანტი ვიხმე.

— მიიღეთ ზაკაზი, ზაკუსკად სელიოდკა და ვინეგრეტი მომიტანეთ. პირველი — ზელიონი შჩი, მეორე შემწვარი კაბაჩკი, ან ერთი პორცია ჟარენი კროლიკი. დესერტად — კლუკვის სოკი.

ეს ხანდაზმული მიმტანიც გაკვირვებული მიყურებდა.

წამოსვლისას მიმტანმა ლარნაკზე დადებული ანგარიში გამომიწოდა და ამოიოხრა: — ეჰ, ქართველნი მშობლიურ ენაზე ლაპარაკს აღარ კადრულობთ!

სირცხვილით ხმა ვერ ამოვიღე. დავხედე ანგარიშს, სადაც გარკვევით ეწერა:

1. ქაშაყი და ხაბა-ხუბა
2. ჭინჭრაქა
3. შემწვარი ბოცვერი
4. შტოშის წვენი

---

სულ 4 მან. და 80 კაპ.

გული დამწყდა, რომ გემოკვების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი მიმტანმა უცოდინარად ჩამთვალა. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ანგარიშის მეორე გვერდზე შემდეგი ამოვიკითხე:

სასარგებლოა იცოდეთ:

1. საზანი — ჭანარია.
2. სევრიუგა — ზუთხია.
3. სუდაკი — ფარგაა.
4. ოსეტრინა — თართია.
5. ლოსისინა — ორაგულია.
6. ბელუგა — თორუჯია.
7. სმოროდინა — მოცხარია.
8. მალინა — ჟოლოა.
9. ლაფშა — ატრიაა.
10. სელიტრა — გვარჯილაა.
11. სპარჟა — სატაცურია.
12. ხრენი — ხარდალია.

თენგიზ ı.



## მამის სახელი

როცა სპირიდონ გრიგოლის-ძე ერთი საკმაოდ მოზრდილი ტრესტის დირექტორად დანიშნეს, მაშინვე ყველას გაახსენდა, რომ ის უბრალო სპირიდონი კი არ იყო, არამედ გრიგოლის-ძე, სწორედ გრიგოლისა და არა ვიღაც პეტრესი თუ ივანესი. ახლა არა მარტო ტრესტში, არამედ ქუჩაში შეხვედრილი ძალიან ახლო მეგობრებიც მამის სახელით იხსენებდნენ; ეგ კი არა, მალე ძმებიც და დებიც ასე ეძახდნენ, მერე მიმართვის ეს წესი ცოლმაც და შვილებმაც გადაიღეს. ზოგი სპირიდონ გრიგოლის-ძეს, ეძახდა, ზოგი სპირიდონ გრიგოლიჩს, ზოგიც მარტო გრიგოლიჩს.

პირველ ხანებში თვითონ სპირიდონს ეს არ მოსწონდა, ამბობდა, ასე მიმართვა ჩვენი ტრადიციისათვის შესაფერი არ არისო. რამდენჯერმე თქვა კიდეც, ასე ნუ მეძახითო. მაგრამ ვინ გაუგონა! მერე თვითონაც მიეჩვია და სრულიად ბუნებრივად მიიჩნია, რომ ასე პატივისცემით იხსენიებდნენ, როგორც მის, ისე მისი მამის სახელს.

მაგრამ ცვალებადია წუთისოფელი, ტრესტში საქმეები კარგად ვერ წავიდა და სპირიდონ გრიგოლის-ძე მოხსნეს. და მოხდა საოცარი რამ — იმ დღიდან ყველას დაავიწყდა რა ერქვა მის პატივცემულ მამას, დაავიწყდათ ახლო მეგობრებსაც კი; ერთხელ, როცა მან გულმოსულმა იკითხა, რა მოხდა, მამაჩემის სახელი რამ დაგავიწყათო, მასთან შეხუმრებულმა მეგობარმა უთხრა:

— სპირიდონ, რა ღმერთი გიწყრება, ბიჭო (ბიჭიც გახდა ახლა!), შენ თითონ არ ამბობდი ჩვენს ტრადიციას არ შეჰფერისო?

სპირიდონს რაღა ეთქმოდა, მწარედ ჩაიცინა და ხელი ჩაიქნია.

პ. აროშიძე.

გარეკანის პირველ გვერდზე: რ ო ბ ე რ ტ ს ტ უ რ უ ა. ფრაგმენტი სურათიდან.

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—9-54-66, პ/მგ. მდივნის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42, 9-01-39.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/I-68 წ. გამომც. № 4. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 42.300. შეკვ. № 287 უე 01914
-Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ზამთრის პეიზაჟი.    ფოტო თარხან არჩვაძისა



ИНДЕКС 76056



ეროვნული ბიბლიოთეკა





აკადემიკოს ს. ჯანაშიას
სახელობის
საქართველოს სახელ-
მწიფო მუზეუმის
ექსპონატები

ფოტორეპროდუქცია
თარხან არჩვაძისა



